პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | რედაქციის მისამართი: |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . . 150 მ. | ერთი წლით . . . . 10 მ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . . 75 მ. | სამი თვით . . . . . 3 მ. | კონტორის მისამართი: განათლების სახალ. კომისარიატი, სახელგამი. |
| მეოთხედი გვერდი . . 35 მ. | ცალკე ნომერი ყველგან—50 კ. | მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს. |

№ 28 | ივნისი 1925 წ. | № 28

Коллекция Ник. Федосеева Грузунова

## საქ. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობა



სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. კუჭაიძე (ჯანმრთ. კომისარი), ვ. ხუტულაშვილი (სამხედრო), ი. ვარძიელი (იუსტიციის), მათიკაშვილი (შინაგან საქმეთა), [redacted] (საგანგებო კომისია), ე. კვანტალიანი (საგანგებო კომისია), ალ. დალარიძე (კომისართა საბჭოს საქ მმართველი), შალვა ელიავა (ცენტრში, ს. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე). ა. გეგეჭკორი (მიწათმოქმედების), ა. რუხაძე (სტატისტიკურ სამმართველოს გამგე), ა. მიქაძე (შრომის), დ. კანდელაკი (განათლების), ს. ჯუღელი (თავმჯდომარის მოადგილე), ლ. გ მჭედლიძე (შინავაჭრობის), ა. დოლიძე (მუშა-გლეხთა ინსპექცია).



საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.



ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე
ამხ. ლ. სუხიშვილი.



ქალაქის მილიციის უფროსი
ამხ. ხმალაძე.

# ძველის გმირი.

— მღვდელო, რაღაცა მინდა გითხრა და...—უთხრა ფოფოდიამ მღვდელს მამა ვასილს, წყნარად მიუახლოვდა, დარდიანი თვალებით და მოკრძალებით შეხედა ქმ.რს თვალებში და სიტყვა გაწყვიტა. უნდოდა დაემატ ბინა: მეშინიან არ გაჯავრდე, მაგრამ ვერ გაუბედა და თავისი სიტყვები ასე დაათავა:

— არ ვიცი რა იქნება.

მღვდელმა სათვალეები მოიხსნა, წიგნი მუცელზე დაიდო და ცოლს შეხედა. მოხუცებული იყო. სამოც წელს უკვე გადასული. განიერი, თხელი, თეთრი და ნიჩაბსავით გაშლილი წვერი ლაპარაკში უთრთოდა. ისეთივე თეთრი ულვაშები წვერებს გადმოჰფენოდა; ცხვირის ძირში ულვაშები თამბაქოს ბოლით გაყვითლებული ჰქონდა. მხარბეჭიანი იყო, ჩასუქებული, სახე თეთრ-წითური, ხნის შეუფერებელი სუფთა ჰქონდა, ოდნავ დანაოჭებული, დინჯი და დარბაისელი. სიბერით დასველებულ თვალებს რაღაცა ნაღვლის უჩინარი ბეჭედი ეჯდა. ეს ამ ბოლო წლებში დაეტყო. წინედ კი მისი სახე მრისხანე იყო, მედგარი, მძაფრი და უდარ.ეელი; დარბაისლობასთან ერთად საკუთარ თავის იმედს და ნების ყოფას გამოხატავდა. აწ კი, სულიერი მდგომარეობის აღელვება შეეძლო. ამას კი ოჯახში დიდი უსიამოვნობა მოჰყვებოდა ხოლმე, მეტადრე მას შემდეგ რაც მღვდელს ხალხმა ეკლესია დაუკეტა.

— სთქვი რა არის?—ნება დამრთველ კილოთი უთხრა ცოლს.

— ისა, რომ .. ჩემის თვალით კი არ მინახავს, მაგრამ დედაკაცებმა მითხრეს .. თქვენს თამროს ყური უგდეთო..—ვერა ბედავდა ერთბაშად თქმას.

— რა არისო?—დაეკითხა მღვდელი. და, წამოწოლილი-წამოჯდა.

— ისა რომ.., ჩირიკაანთ გიგოს დასდევსო...

— როგორ თუ დასდევსო?! აი, იმ ღმერთი დაკარგულ კომსომოლისტს? რასა ნიშნავს ეს? გაფითრდა მღვდელი.

— რა მოგახსნო, მხოლოდ კარგი კი არა უნდა იყოს რა. აი, წუხელიც მთვარის ჩასვლამდის ერთად ყოფილან გალავანში, მთელი სოფელი ლაპარაკობს.

— რა უნდათ მერე? გადაბირება ხომ არ უნდა გოგოსი? იმისიც ურჯულოთა გზაზე დაყენება?

— რა ვიცი, ერთი კვირაა ვებრძვი თამროს, უშეველა ამას ნაღვლის ლეჩაქი ჰქონდა გადაფარებული. მელოტ თავზე სოსანი ხავერდის შეცვეთილი სკუფია ეხურა.



თ ბ ი ლ ი ს ი.

ქმარმა, რომ შეხედა, ცოლს გულში შიშმა გაჰკრა, იმ შიშმა, რომელსაც მუდამ განიცდიდა, ქმრის ხელში. ფოფოდიას ქმარი უყვარდა, როგორც ყოველ დედაკაცს უყვარს ქმარი, მაგრამ დიდი შიში და მოკრძალება ჰქონდა. მისი მორჩილი თვალებით შემცქეროლი და სურვილებ.ს ამსრულებელი იყო. მღვდელს ასე ჰქონდა საქმე ოჯახში დაყენებული. ასე ეპყრობოდა მრევლსაც. ეს იყო მიზეზი, რომ ფოფოდია ეხლაც კრძალვით მიუდგა ქმარს, მით უფრო, რომ ის, რაც უნდოდა ეთქვა ქმრისთვის, თავის თავად საშიშო იყო: ამ სათქმელს მღვდელის დამშვიდებული ნოდ მინდოდა გამესწორებინა საქმე, მაგრამ ვერას გავხდი. პასუხსაც არ მაძლევს.

— მაინც რაში არის საქმე?—მღვდელს სიბრაზე ემჩნეოდა.

ფოფოდიას სოფელში სრული ჭკუის ადამიანის სახელი არ ჰქონდა და თვით მღვდელიც ხშირად ტუტუცს ეძახდა, გაუბედავ სიტყვა-პასუხით აბრაზებდა ქმარს.

— რა ვიცი. ახალგაზდა ქალ-ბიჭს შუა რა უნდა იყოს? უყვართ ერთმანეთი.

თვით ქრისტე ღმერთს, რომ დაეწყევლა მღვდელი, მაშინაც ისეთი თავზარი არ დაეცემოდა, როგორიც ეხლა დაეცა. ნიკაპი აუკანკალდა და მასთან ერთად წვერიც.

ბევერ თვალებში სისხლი მოაწვა. სიბრაზის გამო იმ წუთს ვერ მიხვდა ცოლის სიტყვები რასა ნიშნავდა. იგრძნო კი, რომ მის ოჯახში ის მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. წიგნი ტახტზე დადო, ადგა, დერეფანში გაიარ გამოიარა, პაპიროზს მოუკიდა. ფოფოდია იქვე დარჩა ტახტზე ჩამომჯდარი თვალებ დაშვებული ფეხებში უცქერ და მის წინ მოსიარულე მღვდელს. ამ სიარულშივე ატყობდა, მღვდელი მრისხანებსო და გული ელეოდა. მღვდელი პაპიროზზა დაამშვიდა, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— თამროს დამიძახე.

ფოფოდია შიშით აკანკალდა. მის თვალ წინ მამისა და შვილის შეხვედრის დრამა უნდა მომხდარიყო; თამრო კი, ცოლისაგან გაგონილმა ამბავმა, მისი გონება სულ პირქვე დასცა ერთ ფიქრს ვეღარ დაადგა. რა უნდა მომხდარიყო ჩვენთ სოფელში, რომ მღვდელს პირველს არა სცოდნოდა. რაც წესი და დისციპლინა ჰქონდა ოჯახში, იგივე ჰქონდა სოფელში როგორც ოჯახში, ისე მრევლში გამგე იყო ცხოვრებისა. მუდამ წინდაწინ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო სოფელში, ვის რა ედო გულში, ვინ რასა ფიქრობდა. ეხლა კი, მის ოჯახში დიდი რამ ისე მოხდა, რომ ვერა გაიგორა. სოფელმა უკვე იცის მისი ქალის ამბავი, დედაკაცები უკვე ჰორიკანობენ. იმას კი ეძინა. როგორ მოხდა ეს? შვილს რატომ ვერა შეატყო-რა თითქოს თავის მორჩილებაში ჰყავდა შვილიცა და ცო



1. მენახშირეები. 2. შეშის გამყიდველი. 2. ფეხის მჭმენდელები.

დედის ერთა შვილი იყო, თავნება, ნებიერი, ჯიუტი; მღვდელიც მრისხანე და ვიხიცის რა მოხდებოდა. სული გაეპარა ფოფოდიას. თვალებში შეხედა მღვდელს და ნელა წამოდგა. ფეხები არ ემორჩილებოდა. მღვდლის მოსაზრებანი კი მუშაობდნენ. მოიფიქრა, ჯერ აღელვებული ვარ, შვილს ჯეროვან ლაპარაკს ვერ დაუწყებო.

— არა, არ მინდა. მერე იყოს.—უთხრა ცოლს; ბოძს მიეყუდა, სოფელს გახედა, ჯვარ მოტეხილს საყდარს და ფიქრს მიეცა.

ორმოცი წელიწადია მღვდელმსახურებს მამა ვასილი. ორმოცი წელიწადი მუშაში ეჭირა მრევლი. ბატონი იყო, თავისი ჭკუით, ძლიერი ხასიათით, უდრეკი ნებით. მრევლი თვალებში შემცქერი ჰყავდა, მისი სიტყვის ძირს დაუშვებლად ამსრულებელი. დიდი და პატარა მოკრძალებით პატივის მცემელი. მის საყდარში ღვთის სიტყვა დღე-მუდამ გაისმოდა და მედიდურება მღვდლისა მას მეფურ გულის ნებას აძლევდა. ბევრი რამ ჭირ-ვარამი ენახა მღვდელს, მაგრამ გული ვერაფერმა მოუკვეთა, ეხლა კი! მრევლი წაუვიდა ხელიდან. იქ თავისი ძლიერება და გავლენა დაჰკარგა, მაგრამ განა მის ოჯახშიაც ეს უნდა მომხდარიყო? განა მის ოჯახშიაც შემოიჭრა ურჩი თავისუფლება?—ეს იყო პირველი და უმთავრესი, რამაც მღვდელს სული აუმღვრია, ისე დაეცა ოდესღაც ძლიერი შიშ მომგვრელი ნებისყოფა მისი, რომ ოჯახსაც ვერ დაუჭირა თავი? მისი სისუსტეა ეს, თუ იმის ბრალია, რაც მის გარშემო მოხდა. საყდრიდან სალოცავი ხატები გაუზიდეს და ეხლა ოჯახიდანაც ამასვე უპირებენ!—ძლივს სუნთქავდა და ტუჩებს თეთრ წვერ-ულვაშიანად იკვნეტდა.

იმ დღეს შვილს ხმა არ გასცა, არც არა შეაჩნევინა. რა, მხოლოდ აკვირდებოდა შვილს და ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა. თითქოს უნდოდა მის სახეში, მის მოძრაობაში, ტანისამოსშიც კი ამოეკითხა, ჩემი შვილი ისეთია თუ არა, როგორიც მინდაო.

თამროს კი, მის ჭაბუკ სიცოცხლეში დიდი რამ გადახდა. თვრამეტი წლის, თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა თამროს დედის ნებიერს და მამასავით ნებიანს, გულში

სიყვარული ჩაუჯდა. თამროს თავისი სატრფო დინჯ, მოსაზრებულ და ფესვ-მაგარა სიყვარულით უყვარდა. ამ სიყვარულმა სრულებითაც არ აათამაშა თამრო, თავ გზა არ დაუბნია. თუმც მამის სიმკაცრეში იზრდებოდა, მაგრამ მისი გონება კი მამის გონების გავლენაში ვერ ალიზარდა. თამრო გაზარდა დროებამ და არა მამამ; ახალმა აზრებმა, რაც რევოლუციის შემდეგ ცხოვრებას აზობოქრებდა და არა მამის დადინჯებულმა, დიდიხნის დალაბული, და იმას არ ასწავლიდნენ, რაც მღვდლისთვის საჭირო იყო ყოველ ცდუნებას გამოარიდა შვილი, რათა თვალ წინ ჰყოლოდა, მაგრამ გვიანღა იყო: თამრო, მისი ახალი სიცოცხლე, უკვე იმით იყო გაჟღენთილი, რასაც მამა აშორებდა.

თამროს სატრფო—ჩირიკაანთ გიგო, ორის წლით უფროსი იყო თამროზე. წელს დაასრულა სწავლა და ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის წევრი იყო, ეს აზრა-

## თბილისი

Коллекция Ник. Федосеева Грызунова









1. მუშათა სასახლე. 2. ოპერის თეატრი. 3. ყოფ. ქართული ბანკის შენობა. 4. თბილისის სადგური.

გვბულმა აზრებმა. თამრო ახალმა სკოლამ გაზარდა და არა მამის გამზრდელმა. მამის სიმკაცრეს თამროსათვის მხოლოდ ოჯახში ჰქონდა ძალა, ამის გარედ თამრო თავისუფალი იყო და ეს გარეული თვისება ოჯახშიაც შეჰყვა და მალე იგრძნო თამრომ, მამის ძალის გარეშე ვდგევართ. თავის დროების შვილი იყო, ახალ ცხოვრების ნაზარდი და არა მამის ძველი ცხოვრების. მამამ ეს ვერ შეამჩნია. ოჯახში თავის სიძლიერის იმედი ჰქონდა. აძ იმედმა გამოაპარა შვილის ამბავი. ესევე მოუვიდა მრევლშიაც. მრევლი ხელიდან წაუვიდა, მაგრამ ოჯახს კი უფრთხილდებოდა და მის თავს რევოლუციას არ ანებებდა. დარწმუნებული იყო, ოჯახი მაგრად მიჰყავს მუჭაშიო. აგერ ერთი წელიწადია შვილი სასწავლებლიდან გამოიყვანა. ქალაქიდან წამოიყვანა; იქ მამის გავლენას იყო მოშორეზებდა მღვდელს. გიგო მისი მტერი იყო. გიგოსთანებმა მოიტანეს ახალი ცხოვრება, მისთანებმა აწეწეს ძველი დალაგებული, დააქციეს, გაანადგურეს და ახლის დამყარებას ლამობდნენ. გიგო იყო ულმერთო, ურწმუნო, ღვთისა და ხატის მგმობი. ასეთ კაცს მისცა გული თამრომ, მაშ შვილიც გაუდგა მამას. მის მტრების ბანაკში ჩადგა. თამროს უყვარს გიგო ულვთო, ურწმუნო. მაშ თამრომაც დაჰგმო ღმერთი, რჯული, დაჰგმო ის რაც საფუძველი იყო მღვდლის სამოცი წლის ცხოვრებისა.

რა მოეწონა თამროს გიგოსი, თითონაც არ იცოდა. მაგრამ ამისი ცოდნა არც უნდოდა.

ორივენი ერთი დროების შვილნი იყვნენ და ეს აერთებდა მათ. თუ რას მოუტანდა ეს ამბავი მამის ოჯახს, თამროს არ უფიქრნია, ან რა საფიქრებელი იყო? თავისუფალმა ქალმა, თავისუფლად აირჩია გულის ამხანაგი და ვის რა საქმე ჰქონდა! სოფელმა უკვე იცოდა მითი ამბავი: დედაკაცები სჭორავდნენ მათ. უტიფრობას ეძახდნენ იმას, რომ ახალგაზრდები დაურიდებლად ერთად დადიოდნენ, არავის ეკრძალებოდნენ, თავის გულის ამ-

ზავს არა მალავდნენ. ათასი ცუდი ჭორი ითქვა თამროზე, მაგრამ შეყვარებულნი ყურადღებას არ აქცევდნენ.

საღამომდის შფოთავდა და გმინავდა მღვდელი იმ ქამს ელოდებოდა როცა ვახშლად შეხვდებოდა შვილს და რამეს ეტყოდა, მაგრამ ვახშამმა ისე გაიარა, რომ მღვდელმა სათქმელი სიტყვა ვერ მონახა. ქალის მშვიდ, უდარდელ და სასიამოვნო სახეს შესცქეროდა და გონების ძაფი უწყდებოდა. ვახშმის შემდეგ თამრომ რომ დაიძინა, მღვდელმა შეხედა ცოლს და უთხრა.

— ადამიანო! ეგ როგორ მოგივიდა, როგორ გამოგეპარა ეგ ამბავი, თვალი ვერ დაიჭირე გოგოზე, ეხლა რა ვქნათ? იმ ულმერთოს ხომ ვერ ჩაუგდებთ ხელში? იფიქრე რამე.

ფოფოდია შეკრთა. მღვდელი იმას აბრალებდა ყველაფერს. რა უნდა ექნა დედაკაცს, მუდამ შიშში მყოფს და ქმრის თვალებში შემყურეს? ან განა გამზრდელი იყო თავის შვილის? მისი ძიძა იყო, მომვლელი. ძალა-უფლება კი ოჯახში მამის ხელში იყო. ნების ყოფას მხოლოდ მღვდელი იჩენდა. გაწვრთნით კი, შვილი სასწავლებელში იწვრთვნებოდა, ოჯახს მოშორებული. ფოფოდიას მხოლოდ დედობრივი სიყვარული ჰქონდა, სიყვარული რომელიც არას მოითხოვს და ყველაფერს კი აძლევს.

— მე რა, მღვდელო, მე რა შემიძლიან. შენ კაცი ხარ, შენ უფრო შეგიძლიან!

მგონი მთელს თავის სიცოცხლეში მღვდელმა პირველად მისცა ფოფოდიას თავისუფალ ფიქრის და მოქმედების ნება. ამან სულ დააფრთხო ფოფოდია. რა უნდა ექნა ადამიანს, რომელსაც ქმრის ფიქრის თვინიერ თავის ნებისათ არასოდეს უფიქრია.

— მაშ არა უნდა მოისაზრო-რა? შენი შვილი არარის? ხომ არ დაველუპავთ?

— რა ვქნა, მღვდელო, მე დედაკაცმა? პურის ცხობას და სარეცხს ვერ ავდივარ. ეხლა აღარც მოჯამაგირე გვყავს, აღარც მორჩილი.

მღვდელი დააცქერდა ფოფოდიას და მიხვდა, ამას არა შეუძლიან რაო. თვითონაც ხომ პირველად ეკითხებოდა ცოლს რჩევასა და ეს ამბავი თვითონაც უკვირდა. გადიწყვიტა პირჯვარი, მძინარე თამროსთან მივიდა და თავთ დაუჯდა.

შვილის სახეში თავისი მწველი საკითხის წაკითხვა უნდოდა. დაჰყურებდა მძინარე შვილს, მის მშვიდ სახეს და გრძნობდა, რომ შვილის ჭაბუკის გული სავსებით თავისუფალი იყო, რომ თამრო ანგარიშს არ გაუწევდა მამას. რაც მეტს დასცქეროდა შვილს და ფიქრობდა, მით უფრო ცხადად ჰხედავდა, რომ მათ შორის უბსკრული დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის დაჯერება არ უნდოდა: ხომ ფხიზლად დარაჯობდა თავის ოჯახს. მაშ როგორ შემოეპარა ოჯახში ის, რომელმაც გარეთაც წაართვა ძალა, ყველაფერი მორჩილებიდან გამოიყვანა, ყოველსავე აუხსნა ხელი და გონება.

ახლა თამროც მათს მხარეზეა. მისი ნაშობი, სისხლი სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგან.

ეს იყო მისი სამოცი წლის ცხოვრების ერთად-ერთი ნაყოფი; მისი მთელი წარსული სიცოცხლე ამ თამროში უნდა ყოფილიყო. თამრო იყო განვლილ ცხოვრების ნუგეში და ნაშთი და ეხლა კი ხედავდა მღვდელი, რომ მათ შორის ღრმა უბსკრული ითხრებოდა, რომ დაინგრა, დაილუპა ყველაფერი, რაც მღვდელს აცოცხლებდა, ასაზრდოებდა. იმ შენობის უკანასკნელი კედელი ინგრეოდა, რომელიც მისი შემოქმედება იყო. მღვდელს ვერ გაეგო რა ხდებოდა ქვეყნად, ან რისთვის, დედამიწა სისხლით შეიღება, ომი, მტვრევა-გრევა გამეფდა ქვეყნად, სიკვდილი; ძველს, მრავალ-საუკუნოებით ნაშენს გამოეცვალა საძირკველი, თითქოს ისეთი მაგარი, მტკიცეთ ნაშენი. დიდპატარაობა მოისპო, ნათესავური კავშირი გადილახა; ხალხი ორად გაიყო, ერთი მეორის მოსისხლე მტრად, ძველთა მტვრეველად: ქვეყანა აიმღვრა, კაცი კაცს ვეღარ ნდობია. დამყარდა რაღაც ახალი, უნახავი, უძლეველი. აი, ამან გამოსტაცა მღვდელს ხელიდან ყველაფერი, რაც წმინდათა-წმინდა იყო, საუკუნოებით დალაგებული. მღვდლის გონებაში ეს ვერ თავსდებოდა და მოსაზრების უნარს უკარგავდა.

## თბილისი



1. მენახშირე. 2. მეპაპიროსე. მემაწვნეები.

დილით მღვდელმა შვილს დაუძახა, თავზე აკოცა და გვერდით დაისვა.

— ყური მიგდე შვილო! ძე ღვთისა შეგეწიოს. მისმა ნათელმა განანათლოს გონება შენი, რათა კეთილ გყოს. ამინ.—და შვილს პირჯვარი გადასწერა. თამრო გაკვირვებით შესცქეროდა საყვარელ მშობელს, მის თეთრ თმა-წვერს, სიბერით დანესტიანებულს თვალებს, ლოყაზე ამოსულ პატარა მეჭეჭს სიბერისას. თან თვალებში იმდენი გრძნობა, იმდენი სიყვარული ედგა მამისადმი, რომ მღვდელი დამშვიდდა. მართლა-და, ხომ არ შეიძლებოდა, რომ შვილი ისე შორს გასცლოდა, როგორც მღვდელს ეკონა.

# თ ბ ი ლ ი ს ი










1. ვერის ხიდი. 2. კოჟ. ყორონცოვის ხიდი. 3. თბილისის ქუჩა

ამან მეტი გამბედაობა მისცა, უფრო თამამად აალაპარაკა. მღვდელს ეშინოდა, ჩემის ყურით არ გავიგონო შვილის პირიდან ამოსული საშინელი სიტყვა სიმართლისაო. მაგრამ შვილის თვალებმა შიში დაუყუჩა.

— შვილო ეს რა მესმის? განა მართალია?—უთხრა შვილსა. მანც ვერ გაბედა და სთქმელი ერთბაშად ვერა სთქვა. შვილთან მიდგომა ნელ-ნელა ირჩია. ეს იგრძნო მღვდელმა და გული ეტკინა. ამაში უკვე თავის დამარცხებას ხედავდა. წინანდელი მღვდელი აღარ ლაპარაკობდა: მრისხანე, გამბედავი.

— რა მამავ?—გულუბრყვილო გაკვირვებით ჰკითხა შვილმა.

— რა და... შენ რომ გიგოს დასდევ...

— ეგ რასა ნიშნავს, მამავ, „დასდევ“. ეგ რა სიტყვაა?—შვილის სატყვები სილასავით მოხვდა, შვილმა გაუსწორა, დაუწყნა სიტყვა. ეს როდის მოსვლია მღვდელს, რომ უმცროსს დაეწუნებინოს მისი. ეხლა კი ხედავდა, რომ შვილმა აჯობა, უკვე გაუსწრო მოსაზრებაში. ეს წინააღმდეგობსს წინამორბედი კი არ იყო; უკვე თვით წინააღმდეგობა იყო, ეს ის იყო რისაც ეშინოდა მღვდელს.

— აი, ამბობენ, ვითომც ჩირიკაანთ გიგო გიყვარს,—თან ჩააცქერდა სახეში, თვალებში; თითქოს უნდოდა მოესპო შვილის წინააღმდეგობის უნარი, ან გაეგო მართალი, თუ შვილი ენით დაუმალავდა.

— მერე?—შეეკითხა ქალი.

— ჰოდა, მართალია?

— მართალია!—დინჯად უპასუხა ქალმა. ისევ ასე სიყვარულით შესცქეროდა მამას, მხოლოდ ცოტა გაუწითლდა სახე. როგორც წუხელის დედა, ესეც დღეს დიდ და სასიცოცხლო საქმის გამო თავის სიცოცხლეში პირველად ელაპარაკებოდა მამას.

— მართალია.—გაიმეორა მღვდელმა, ნიკაპი მოიფხანა, თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა.—ჰმ, მართალია.—თითქოს არ ელოდდა ამ პასუხს, გულით უნდოდა, რომ ეს „მართალი“ ქვეყნათ არა ყოფილიყო, თუნდაც სიმართლე ქვეყნათ სრულიად დაღუპულიყო. ჩუმათ იყო მღვდელი. საპასუხო სიტყვას ეძებდა. არა აზრს, არამედ სიტყვას. ისე მოხვდა შვილის „მართალი„, რომ სიტყვაც კი საძებნელი გაუხდა.

— მერე-და რა უნდა გამოვიდეს? ჰკითხა მამამ.

— რა უნდა გამოვიდეს? არ ვიცი!—შვილი მამის სიტყვებს ვერ მიუხვდა. მაგრამ რაც მამამ იცოდა რას ამბობდა. მამა ხედავდა, რომ ვერას ამბობდა, რომ თავის ძველ წესს, სიმკაცრეს გადაუხვია. აქ ხედავდა თავის დამარცხებას. ამიტომ თავი მიუშვა თავის ხასიათს და მტკიცე, მკვახე ხმით, გადაჭრით და ბრძანებით უთხრა შვილს:

— მე ეგ არ მომწონს!—აქვე მიხვდა, რომ ეს სიტყვები ის არ იყო, რის თქმაც უნდოდა. ეს არ იყო ბრძანება, სიტყვის შებრუნებას რომ ვერ ითმენს. ეს სიტყვები მის გუნებეს და იმ მტკიცე ხმას არ შეეფერებოდა, რომლითაც იყო ნათქვამი. კვლავ მიხვდა თავის უძლურებას. აღარ იყო მღვდელი, წინანდელი, მძლავრი, თავისის გამ ტანი.

— რა არ მოგწონს? რომ მიყვარს, ისა.

— არც ეგ შენი სიყვარული, არც ის შენი გიგო, არც ეგ თქვენი ახალი დროების თავქარიანობა·—მღვდელმა სტოლს ხელი დაჰკრა, დინჯად, მაგრამ მტკიცეთ, გამოხდა ხმა, რომელიც ამბობდა: ჩემი ნება ეს არისო.

— რატომ?

— რატომ? მაგასაც მეკითხები? დაფიქრდი და გაიგებ. ღვთის გმობა მოსაწონია? ქვეყნის არევა მოსაწონია? ვინ გიყვარს, რომ გიყვარს? მაწანწალა. გლეხის ნასხლეტი, გლახაკი. რა არის სიყვარული, იცი კია? სიყვარული მხოლოდ შიშია ღვთისა და მორჩილება უფროსისა.—ძველი მორალი, რომე-ლაც სამოცი წელიწადია მღვდელი იმეორებს·— შენ კი მეურჩები.

— მე არ გეურჩები! მართალს გეუბნები და გელაპარაკები.

— თვით ეგ შენი ლაპარაკი ურჩობაა. გეუბნები, არ მოსწონს მეთქი. მორჩა და გათავდა. შენ კი მეკითხები რატომაო. იმიტომ, რომ იმათ თავზე დამქციეს ეკლესია; ღმერთი და სალოცავი წამიბილწეს. იმიტომ რომ დაამხეს ქრისტეს ალთქმის ქვეყანა, დაარღვიეს დიდ-პატარაობა, უფროს-უმცროსობა, ადათი, გადალახეს ნათესაობა, წამართვეს მრევლი, ყოველივე რასაც ვლოცულობდი, რამაც გამზარდა და მაცხოვრა.

— რათა ბრაზობ, მამავ. ქვეყანა მაგ გზით მიდის. მეც იმას მივ დევ.

— მაშ მეურჩები? მერე, შე უბედურო, ხომ შენც გადალახავ მამიშენის თეთრ წვერს. შენც შეურაცხყოფ ღმერთს. მერე აპირებ გიგოს ცოლად გაჰყვეს.

— ვაპირებ.

— მერე, იცი ვინ არის გიგო? ის იქით იყოს, რომ შეუფერებელია შენი. ნათესვია შენი: შვილია ჩემის დისწულისა. ერთი სისხლისანი ხართ.

— მამავ, ძალიან შორი ნათესაობაა. აპა დაუფიქრდი ამას?

მღვდელი გაცოფდა. შვილი აქამდის თუ მხოლოდ პასუხს აძლევდა, ეხლა მორჩილების საზღვარს მთლად გადავიდა. დაუფიქრდიო. რას უნდა დაუფიქრდეს? სამოცი წელიწადია დაუფიქრდა ყველაფერს. თამროს კი ამისი ნასამედიც კი არ გაუვლია. და ეხლა ეს თითის სიგრძე გოგო, გომბიო, რომელიც წელამდისაც ვერა მწვდება, გუშინდელი ლლაპი უსუსური, ჭკუას მასწავლისო. ჭკუას მასწავლის მე, რომელიც მთელს მრევლს ჭკუას ვასწავლიდიო.—მღვდლის ყვირილი სოფელში გადიოდა. სახე გაუწითლდა. ხელები აუკანკალდა.

მზად იყო ურჩი შვილი შუაზე გაეგლიჯა. თამრომ ჯერ ყური უგდო მამას. ელოდდა იქნება დამშვიდდესო, მაგრამ როცა ნახა, ლოდინი ამაოაო, წყნარად გაბრუნდა, გაბრაზებულმა ზურგი შეუქცია მამას, ოთახიდან გავიდა. მღვდელი ერთბაშად დაეცხრა. ნახა, რომ მარცხდებოდა. აქაც, ოჯახშიაც იგივე მოსდიოდა რაც მრევლში მოუვიდა.

შუალამე გადასული იყო, თამრო შინ რომ დაბრუნდა. მღვდელს არ ეძინა. ალბათ შვილს ელოდდა. წინედ რომ ჩვეულება ჰქონდა სანთელზე სახარების კითხვისა, ეხლა აღარ კითხულობდა; მაგიდასთან იჯდა და პაპიროზს ეწეოდა. მის წინ ნამწვავები ბლომად იყო დაგროვილი. შვილს შეუბღვირა და უთხრა:

— ჰა! შენს კუროსთან იყავი?

თამრომ მდურების თვალით შეხვდა, თავის ოთახში შევიდა და დაიძინა...

ამის შემდეგ შვილსა და მამას შორის ომი ატყდა.

## თ ბ ი ლ ი ს ი



1. ბორანი. 2. ბაზარი. 3. სასახლე. 4. პაპიროსის კუთხე.

ცისმარე დღე მამა ეჩხუბებოდა შვილს, არიგებდა, უბრძანებდა. ხანდისხან ეხვეწებოდა კიდეც. თამრო თუმც მშვიდად აძლევდა პასუხს, მაგრამ არას უთმობდა. მამა კი ვერც იმორჩილებდა შვილს, ვერც თვითონ იხრიდა ქედს. რვა შვილი დამარხა მღვდელმა, სამი ვაჟიშვილი მიაბარა მ წას, უფროსი ქალი თვალ-წინ მოუკლეს ეკლესიის გალავანში სიყვარულით, მღვდელმა თვითონ დამარხა, თვითონ აუგო ანდერძი ყველას, მაგრამ კაჟივით იყო მაგარი; ეკლესია წაართვეს, საყდარი დაუნგრიეს, დაეცა მისი სახელი, მისი ბატონობა, მაგრამ სუყველაფერმა ამან იმდენი ვერა დააკლო-რა მღვდელს, რამდენიც თამროს ამბავმა. მღვდელი იმას ვერ ურიგდებოდა, რომ ოჯახში შეეჭრა მისი საძულველი, მისი წამწყმედი. თამროს წართმევით თვისი უკანასკნელი ნაშენი ერთმეოდა. თამრო და იყო ის, რაც მღვდლის სამოცი წლის ნამოქმედარის ჯამში დარჩა, დანარჩენი ყველაფერი რევოლიუციის გრიგალმა გაიტანა და თამროს წართმევით ყველაფერი საბოლოოდ ინგრეოდა. მას შემდეგ რაც მის საყდარს ჯვარი მიამტვრიეს და ხატები გამოუზიდეს მღვდელს ერთხელაც არ ამოუღია ხმა დტრტვინვისა, არ გაუცია თავი, დამარცხება არ გაუმჟღავნებია. ეხლა კი გასცა თავი. ამიტომ უფრო გაბრაზებით ებრძოდა შვილს. სცდილობდა ხელიდან წასული შვილის დაბრუნებას და ამით საკუთარ თავის აღდგენას. შვილის ჭაბაუკი გული მამისას ვერას ითვისებდა. ძლიერ სიყვარულს და სიჭაბუკეს მიჰყავდა შვილი, ახალ, საკუთარ გზაზე. რაც უფრო მეტს ეურჩებოდა შვილი, მღვდელი მით უფრო ბრაზობდა, მოსაზრებას და ნების-ყოფას კარგავდა. მისი ლაპარაკი შვილთან წინდაუხედავი გამოდიოდა, სულელური, უსაფუძვლო. ამას ამჩნევდა მღვდელი, და უფრო ბრაზობდა: გონება გამომეცალაო ამბობდა. ამას ხედავდა შვილი და ბრძოლაში უფრო მეტს უნარს იწენდა. თამრო ხშირად მიმართავდა ხოლმე გიგოს რჩევისათვის. მაგრამ გიგო მამა-შვილის საქმეში არ ერეოდაა, მხოლოდ ცდილობდა თამროს მოქმედების უნრის გაძლიერებას და თამროსათვის ესეც საკმარისი იყო.

— კარგი.—უთხრა ერთხელ მამამ შვილს:—რაკი არ დაგიშლია, ყველაფერს გადასდგომიხარ, მამასაც, დედასაც, აღარც ხარიხს უყურებ, აღარც დიდ-პატარაობას, აღარც ღმერთს, ნათესაობაც კი გინდა გადალახო და სისხლთშერევა მოახდინო, ის მაინც ჰქენი, რომ საეკლესიო წესით დაიწერო ჯვარი.

თამრომ მამას შეხედა, თვალი თვალში გაუყარა. არ ეგონა თუ მღვდელი ამას მოსთხოვდა. დარწმუნებული იყო, რომ მამამ ეს უკვე გადიყარა გულიდანაო. აგერ უკვე ერთი წელიწადია, ჯვარი აღარავისთვის დაუწერნია. ამიტომ გაკვირდა თამრო.

— ეხლა მაგას ვ-ლა სჩადის?—უთხრა მამას:—არც გიგოს შეუძლიან ეგა.

— მაშ ისე გაჰყვები? უგვირგვინოთ მიუწვები?

— ჰო!—მოკლედ მიუგო თამრომ.

რაც ეს ბრძოლა ჰქონდათ მამა შვილს, მგონი პირველად გაბრაზდა მღვდელი ისე ძლიერ, როგორც ეხლა, შვილის ამ ერთს სიტყვაზე. მთლად დაჰკარგა გონება. პირზე უშვერი სიტყვა მოადგა. თავის თავათ, უნებურათ. მღვდელი მიხვდა, ამ სიტყვის თქმა შეუძლებელიაო; მაგრამ იგი სიტყვა ძალად მოდიოდა, თავდაუჭერლად მოიწევდა წინა, გონებასა და ნებას მოანგრევდა და მღვდელმა უცებ წამოიძახა:

— ბოზო!—სთქვა და შეკრთა; მაგრამ გონებამ უთხრა, თუ თამრო ჯვარს არ დაიწერს, მართლა ბოზი იქნებაო. ეს იყო მღვდლის მორალის უმთავრესი საფუძველი და მის გამოთქმას იგი ვერ ასცდებოდა. მაგრამ შეხედა თუ არა შვილს, მაშინვე მიხვდა, რომ მათ შორის სამუდამოდ ჩატყდა ხიდი. მამის სიტყვები ტყვიასავით მოხვდა თამროს. გაბრაზდა, ამ ბრძოლაში პირველად. მზად იყო წვერებში სცემოდა მამას. დაეკლიჯა თეთრი წვერები, საყვარელი წვერები. მერე კი თვალებზე მიიფარა ხელები და ცრემლ-მორეული უსიტყოდ გავიდა გარეთ. თამრომაც იგრძნო, რომ მისსა და მამის შორის ყველაფერი გათავდა. შეურაცყოფამ დაიბუდა მის გულში, თითქოს შესძულდა კიდეც მამა.

თამრომ ყველაფერი უამბო გიგოს და უთხრა მამის ოჯახში ყოფნა აღარ შემიძლიან, უეჭველად უნდა გავშორდეო.—ეხლა კი უფრო გაბედული მოქმედება იყო საჭირო. თამროს შეეძლო გიგოს ოჯახში დასახლებულიყო

თბილისის ტიპები



მეხამორ! მეხამორ.

მაგრამ სილარიბე უშლიდა ხელს. გიგო დაჰპირდა სამუშაოს შოვნას, მხოლოდ ცოტა მოთმინება უნდაო; ამაღამ გამოდი ჩემთან, მინამ მოვისაზრებ რამესაო.

თითქოს საპყრობილეში შევიდაო, ისე შევიდა თამრო მამის სახლში იმ საღამოს. ისე ეგონა იქ მძორი დევს რაღაცა, ძველი, აყროლებული, სულის შემხუთავიო. თითქოს სათუთი რამ შედის ბნელეთსაო, არ უნდოდა მამას შეჰყროდა და თავის ოთახში ფანჯრიდან შეძვრა. ტანთ გაუხდელი დაწვა ლოგინზე. მეორე ოთახში ისმოდა, დედ-მამა რომ ვახშმობდა. დედა ოხრავდა და რაღაცას ბუტბუტებდა. მამაც ბოხა ხმით აძლევდა პასუხს. ოთახში რაღაც სიმძიმე იყო, კედლები, ავეჯი, ყველაფერი შავ-ბნელ, დახავსებულ სუნს გამოსცემდა. ფანჯარა გააღო ჰაერის გასაწმენდათ. კუთხეში თამრომ ხატი დაინახა, დააცქერდა.

პატარაობისას რამდენჯერ დაუჩოქებია მამას ამ ხატის წინ და ულოცვინებია. რას არ შესთხოვდა ხოლმე ბავშვის ჩვილი გული ამ ხატს.

რამდენი ტკბილი ნუგეში და იმედი, რამდენი დარდი მიუტანია ამ ხატთანა. როგორ ეკრძალებოდა, ეშინოდა. ეხლა კი წმიდა გიორგის ძველებური ხატი, გამურული, გაშავებული, თეთრს კედელზე, შავ ლაქათ ქცეულიყო, თამროს სულს სიმძიმით აწვებოდა. ხატს რომ უცქერდა ისე ეგონა ოჯახში დამყარებული მოუსვენრობა ამ ხატისაგან გამოდისო. სანთლის და ზეთის სუნით იყო გაჟღენთილი ხატი და ეს სუნი თამროს ცხვირს რომ ხვდებოდა აბრაზებდა. წმიდა გიორგის თეთრი ცხენი, ოთახის სიბნელეში, ყვითლად ლაპლაპებდა და თვალსა სჭრიდა. ამ ხატის ცქერაში თამროს გონებაში განვლო მისმა ბავშვობამ, მამასთან ბრძოლამ, შეურაცხყოფამ, დიდმა, ძლიერმა სიყვარულმა, რომელსაც ეს ხატი საფლავის ქვასავით აწვებოდა. ტახტზე გაირბინა, მივიდა ხატთან, წაავლო ხელი და ჩამოწყვიტა კანაფი, რომლითაც ხატი იყო ჩამოკიდეაული დროთა ვითარებით დაძველებულიყო, დამპალიყო და სრული სისუსტით დანებდა ქალის გაჯავრებულ ჭაბუკ ხელს. თამრომ ხატი ღია ფანჯარასთან მიიტანა და ხელი გაიქნია. ხატი ჰაერში გაცურდა და ღობის ძირში, მაღალ ბალახებში შემკრთალი შრიალით ჩაიფლო. თამრომ მიდამოს გაჰხედა. მთვარე ანათებდა, ბალახებისა და ყვავილების სუნი იდგა. ნიავმა თამროს სახეზე შემოურბინა, უბეში ჩაუძვრა, ასი ამოუნა. გზაზე გიგო დაინახა. თამრომ მიხედა იმ კარებს, რომლის იქითაც მისი დედამამა იყო, გაიღიმა და ეზოში გადახტა; მერე გზაზე გავიდა გიგოსთან. ვენახის ბოლოში მივიდნენ და იქ ჩასხდნენ მაყვლეში.

თბილისი



ხალიჩების მრეცხავები.

მღდელმა სათვალეები გაიკეთა, ლოცვანი აიღო, ხატების წინ დაიჩოქა და ლოცვაც დაიწყო. გულმოდგინეთ ლოცულობდა თვალ-ცრემლიანი. ყოველი სიტყვა მისი ლალადი იყო. ბუტბუტებდა; ოფლი მოადგა შუბლზედ. რასა სთხოვდა თავის ღმერთს? იყო ამ ლოცვაში წყევაკრულვა თუ მხოლოდ ვედრება! ვინ იტყვის! ტუჩებით ლოცვის სიტყვებს აშბობდა მღვდელი, გონებით თავის სავედრებელს ეუბნებოდა ღმერთს. მთელი სიცოცხლე იყო მღვდლისა ამ ლოცვაში; და ამ დროს მაყვლებში, ბუნების კალთაში, მთვარის შუქზე, ყვავილთა სურნელებაში ორი ჭაბუკი, ძლიერი სიცოცხლე სისხლ-მჩქეფარ სიხარულს მისცემოდა. ლაპარაკობდა, ოცნებობდა, თავის მომავალ ახალ ცხოვრებას აწყობდა, ეს ცხოვრება განსხვავდოდბა იმ ცხოვრებაში, რომელიც მღვდელს ლოცვის საფუძველზე ჰქონდა აგებული და ეხლა ინგრეოდა. აქ იბადებოდა ახალი ცხოვრება, იქ ლოცვებში იშლებოდა ძველი. იქ მღვდელი ლოცვებში ეძებდა თავის უკვე დანგრეულ სიცოცხლის სიმაგრეს, აქ ბუნებაში ორი ჭაბუკი გული ჰპოებდა ბედნიერებას. იქ დაღძლურებული ბუტბუტი იყო სიბერისა, აქ სიყვარულის ჭაბუკი ჩურჩული.

თბილისი



ბავშვების ბანაობა მტკვარში.

თამროს მიმის სიტყვა მოაგონდა და კვლავ მოუარა წყენამ, სიბრაზემ. ერთბაშათ მოეხვია გიგოს; თვალებში შეხედა.

— მამის ჯიბრზე—სთქვა მან და ტუჩებში აკოცა. სული გაენაბათ ჭაბუკებს. სისხლი აუდუღდათ. ვაჟმა ღონივრად მოხვია ხელები თამროს. კოცნა დაუწყო. ორნივ თავ დავიწყებაში იყო. ისე გადუწვა ბალახებში თამრო გიგოს, რომ არც კი უფიქრია. მღვდელი კი სასოებით შესთხოვდა ღმერთს თავის სათხოვარს.

მთვარე ჩასული იყო თამრო და გიგო რომ გაიყარნენ. გახარებული, ბედნიერი თამრო კი არ მიდიოდა—მიხტოდა. პირ ღიმილიანი ისევ ფანჯარაში შეძვრა და თავის ოთახში შევიდა.

მღვდელმა ლოცვა გაათავა, სათვალეები მოიხსნა, ლოცვანი დაკეცა და ლოგინისაკენ წავიდა. ფიქრში გართულმა გადააფურთხა და დაიძახა „შეჩვენებულნი". დაწვა მღვდელი, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. მეორე ოთახში კი სიხარულით სავსე გულს ნეტარებით ეძინა.

გიგომ ორ დღეში მოუწყო თამროს ალმასკომში სამსახური. თამრო სიხარულით აღარ იყო, ეხლა სულ თავისუფალი იყო, დამოუკიდებელი. დედმამას უთხრა ყველაფერი და იმათი სახლიდან სამუდამოთ წავიდა. იმ დღესვე იქნა შესრულებული „მმაჩის" ფორმალობა და თამრო და მისი ქმარი თავიანთ საკუთარ ახალ ცხოვრებას შეუდგნენ.

მღვდლის ოჯახი ისე იყო, თითქოს მიცვალებული ჰყოლოდეთ. ფოფოდიამ თვალებში რომ შეხედა ქმარს, უსიტყვოთ მუხლებში ჩაიკრა ხელები და ჩაიკეცა. ნახა, რომ შვილთან ერთად ქმარიც დაჰკარგა: მღვდელი დაუ-

ძლურებულიყო. სახე გაუყვითლდა, მუცელი დაუპატარავდა, თვალები ჩაუცვივდა. ეხლა კი დაინხა რომ დამარცხდა. ისე დამარცხდა, რომ ბრძოლის იმედიც აღარ იყო. ეხლა კი სულ დაექცა თავზე ის, რაც ამ სამოც

## თბილისი










1. ჭურჭლის გამყიდველები. 2. მეეტლე. 3. მენახშირე ურმით.

წელიწადს აშენა, რაც სწამდა, რაც უყვარდა. ნახა რომ ყოველივე ბრძოლა იმასთან, რაც სძულდა ამაო იყო. გონება გამოცლილი დადიოდა და ფიქრობდა, მაგრამ ეს ფიქრი აღარ იყო ხსნის ფიქრი. ეხლა მხოლოდ თავს



თბილისის მეგაზეთეები.

უყურიდა წარსულს, ამწყოს, განვლილ ბრძოლას და მომავალს. წარსული მთლად დაინგრა, ამწყო აღარ იყო. რა უნდა ყოფილიყო მომავალი? აღარაფერი ერთბაშათ გატყდა ეს ოდესღაც ლომ გმირი კაცი, წინედ რომ მეფე იყო. ფიქრში რწმუნდებოდა რომ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში სადღაც რაღაც შეცდომა ჰქონდა და[illegible] ნაყოფი ეხლა მოწყვიტა. აქამდის ყოველ გაჭირვებაში მისი ძალ-ღონე ლოცვა იყო. ეხლა კი, რაც უფრო მეტს ლოცულობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ლოცვა ძალას აკლებდა. იმედი და სასოება აღარ იყო. მაღალმა ღმერთმა არ მოუვლინა ხსნა, ოჯახიც დაკარიელდა, როგორც ეკლესია. ყოველი კუთხე სახლისა შავ-ბნელი იყო, მდუმარე, შუბლ-შეკრული. დადიოდა ოთახებში მღვდელი, აკვირდებოდა კედლებს, ავეჯს, ხატებს და ჰკვირობდა მათ სიცალიერეს. დარდის ფიქრმა დაჰფარა ყოველივე. აღარ იყო მისი ხარისხი, სარწმუნოება, ემაგი, სიხარული, სახელი, გულ მხურვალე ლოცვაც კი. ყველაფერი ამაო ყოფილა.

იყო მხოლოდ მის გარეშე მოძრავი, ძლიერი, ჩქეფარე სიცოცხლე, რომელიც ცხოვრებას ჭაბურ დუღილით აზოზოქრებდა. ეშინოდა ამ ცხოვრებისა მღ დელსა და ეს შიში უძლურ სიბრაზეს ჰგვრიდა და როცა ამ სიბრაზეს იგრძნობდა ხოლმე, შიში უფრო ემატებოდა.

ერთხელ დერეფანში მდგომი სოფელს გასცქეროდა დაფიქრებული. სოფელი ისევ წინანდებური იყო: ხალხი ისევ მუშაობდა, საქონელი ისევ სძოვდა მინდორში, ბაღვენახები ისევ მწვანეებული იყო, მზე ისევ კაშკაშებდა. სოფელი გარეგნულად წინანდებური იყო, მაგრამ მღვდლის დაცილებული, მისთვის შორეული, წინედ მისი, ეხლა უცხო. სოფელში რომ გაივლიდა, ჰგრძნობდა, რომ ყველა დამცინავ ღიმილით შეჰხედავდა ხოლმე და თუ ვინმე შემთხვევით ეტყოდა—„შენდობა მამაო"—ამაშიაც მღვდელი წინანდებურს გრძნობას ველარ ჰხედავდა, ეს ეხლა მოწყალებასა ჰგავდა.

სოფელში არა გამოიცვალა რა. მხოლოდ მისი საყდარი იყო ჯვარ მონგრეული და ზედ წითელი დროშა ფრიალებდა. თითქოს კი ყველაფერი უნდა გამოცვლილიყო. თითქოს ღმერთს უნდა ჩაენთქა და დაექაჯა ქვეყანა ცოდვით რომ გაივსო. თითქოს არ უნდა მოეთმინა თავის დიდების შეურაცყოფა ღმერთს ძლიერს, ყოვლად შემძლეს, ლმობიერს და შური უნდა ეძია! მაგრამ არაფერი იცვალა, ცა არ ჩამოიქცა, დედა მიწამ არ იყო პირი ქვეყანას.—ფიქრში წასულს მღვდელს თვალები სისხლით აევსო, სახის ფერი გაუერთა. ერთბაშად გაიკრა ხელი ანაფორას, გაიხადა და შორს გადისროლა. ანაფორამ ჰაერში გაიფრიალა და მტვერში ჩავარდა. მღვდელი შეკრთა, ათრთოლდა. თითქოს იმანაც დაჰგმო თავის ღირსება, წარსული, მრწამსი. მუხლი მოეკრა და გულწასული ღმუილით წაიქცა.

მესამე დღეს მღვდელი მოკვდა.

**იოსებ ტატიშვილი**

30/I—25 წ.

---

## იოსებ ტატიშვილი

დაიბადა 1886 წ. დეკემბრის 25-ს (ძვ. სტ.)

მამა—გრიგოლ პავლეს ძე ტატიშვილი—მხატვარი-ქსილოგრაფი, წიგნების გამომცემელი *).



იოსებ ტატიშვილი,

რომელმაც მიიღო მეორე პრემია მოთხრობა „ძველის გმირში",

ი. ტ—მა პირველ დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ტფ. ქართულ გიმნაზიაში. შემდეგ დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტი—იურიდიული ფაკულტეტი. 1915 წ. განვლო სამხედრო სამსახური ომის დროს; 1918 წლიდან გამომძიებლად იყო და მსახურებდა იუსტიციის უწყებაში; 1923—24 წ. დამცველთა კოლლეგიის წევრი. აწ მსახურობს განათლების კომისარიატში.

პირველი მოთხრობა მისი დაიბეჭდა, გიმნაზიელობის დროს 1907 წელს. „წვიმაში" სურათი მოწაფის ცხოვრებისა. შემდეგ „ნახტომი", „ერთ ღამეს", „ჭაობი", „აღდგომილ ქრისტეს მაძიებელნი", „წერილი" „აპრილის 1-ს", „ერთობა", „ტიტო", „სამჯერ რვა". „ტიტას" გარდა ყველა იბეჭდებოდა „სახ. გაზ." („ცნობის ფურცელი"). „ტიტო" დაიბეჭდა ჟურ. „ნაკადულში", „ზღაპარი ღმერთისა და არწივისა", „ექიმი", „უცხონი" და სხვა. ცენტრისგან მოწყვეტილობის გამო, პროვინციაში ცხოვრებით, წერას თავი დაანება. 1925 წ. დაიბეჭდა მისი მოთხრობა ჩვენს ჟურნალში „თებრო" № 24.

ꕥꕥꕥꕥ

# გემზე

(ნაწყვეტი)

**ბერდო.** რამდენი თვეა, რაც ზღვით მოვცურავთ?

**ზმანია** მაგრამ ჯერ არ სჩანს აღთქმულ ქვეყნის კიდენაპირი!

**მაგო მაკაკ.** *) აუტკივარი თავი ყველას შენ აუტკივე.

**ინგიდო შური.** მე რა ბრალს მამდებთ?

თანახმა იყო და თქვენც ყველანი
მის გარდაუვალს სიამით შეხვდით!
აქ არა მარტო ნების ყოფა თქვენი კმაროდა...
კიძულებდათ შინაგანი ხმა მოწოდების.

**მაგო მაკაკ.** რასაც არ უნდა მისწვდეს კაცი, შენ სხვა გზას გაშლილი!

რომელს სამყაროს? რომელ კუთხეს დაუხატავდი?

**ინგიდო.** ეს ქმნა ბედიამ.

**ფილო.** ქმნა და დაგვტოვა.

**მაგო.** მე ისე კარგად ვერ ვარჩევ საგნებს,

მაგრამ მაქვს ყნოსვა—ის ჩვენთან არის.
როგორც მაცდური: გვხიბლავს, გვიტყუებს.
აბა, რა მრჯიდა, მეც რომ ავყევ თქვენს ფეხის თამაშს...
არ გვაკლდა ჭამა, ფუფუნება... აქ კი ამ ზღვაში
საფრთხე და დიდი განსაცდელი, შიში და ღელვა...
მალე საჭმელიც არ გვექნება... კუჭი იწივლებს.
ვინ მოგვცემს საზრდოს?
რომელ სამყაროს, რომელ კუთხეს დაუსახავდით,
რომ იქ ენახა საბოლოო თვისი მიზანი?

**ფილო.** კეთილშობილი, მაღალი და უზენაესი

არსებობს მხოლოდ თვით საკუთარს პიროვნებაში.

**მაგო.** მაშ სადღა მიგყავთ?

**ფილო.** ის თვითონ მიდის სხვის გზად და ხიდათ!

**ინგიდო.** ეგ კი არ მომწონს! მას ყველაფერი!

**ფილო.** შენ ვინ რას გკითხავს.

**ინგიდო.** მაშ ვის ეკითხვის?

შენ და ბედიას გინდათ მისი ადრე დაღუპვა.
სამაგიეროდ მის მეგობრებს: მაგოს, სევდიას
და მე ინგიდოს გვსურს ხანგრძლივი სიცოცხლე სოფლად.

**მაგო.** მართალი არის!

სვი და ჭამე, კარგად ჩაიცვი,
სხვას რაღასე ძიბთ?

---

*) ბიოგრაფია იხ. ჟურ. „მნათობი" № 4.

*) მაიმუნის სახე.

იდეალი. ამორდეა.
რომელიც ვითომც ტყვე არის და უნდა დაიხსნათ!
ჩვენ რა ბრალში ვართ?
ან მას, ან მე, ან და სევდაის
რისთვის შეგვტკივდეს სხვისთვის გული?
მოვითხოვ იქვე: უკან დავბრუნდეთ.
**სევდაის.** უკან დავბრუნდეთ?
არა, მე არ ვარ თანახმარი!
სადაც ბერდოა, მეც იქ თავს დავდებ!
**ფილო.** ნუ გინდათ შფოთი!
რად გასტეხია ზოგიერთს გული?
ცხოვრების ტალღა და ზღვის ტალღა—ორივ ერთია!
იდამიანის სიცოცხლე ყველგან
განსაცდელშია.
დაბრკოლება უნდა დავძლიოთ.
ალლო მაქვს დიდი საშინელების
და ალლო დიდი ბედნიერების,
რომელი არის ჩვენი ხვედრი—ეგ სულ ერთია.
მხოლოდ იმედი!
**მაგო.** ხა ხა ხა!

არ ვიცი, იქნებ წინადგრძნობა ცუდს უკარნახებს
და მიტომ ლხინობს მეგობრებთან თავდავიწყებით.
ქვეყნის მდიდარი იგია ერთი.
მამონ მეფე!
**მაგო.** რა ცრუ პათოსით მსჯელობ ხანდახან!
**ინვიდო.** მაშ გამიგონეთ.
ეს თქვენ არ იცით.
იმას თან მოაქვს ერთი საუნჯე,
რომელიც არის ყველაფრის შემძლე,
კარი იმ დიდი ოქროს ქალაქის,
სადაც ტყვედ არის ამორდეია.
**ბერდო.** ამორდეა!
**ინვიდო.** ეს ტყვეა მისი!
**ბერდო.** ის ტყვეა მისი და დღეს იგი ჩვენთან მოსცურავს?
რად მიეც ნება;
**ინვიდო.** საჭირო იყო!
უნდა ხელთ ვიგდოთ მისი თილისმა,
მისი გეგმები, რომ მით შევიძლოთ
ოქროს ქალაქში დიდებით შესვლა.

Коллекция Кол. Федосеев Грузинов



ტფილისის მთიელთა საბავშო სახლის მოწაფე სვან ბავშვების ჯგუფი.

**ინვიდო.** ვაშა შოხუცო!
სხვებიც რომ ასე იმედით იყვნენ,
თუნდ მთელ მსოფლიოს ჩვენ დავიპყრობდით.
**მაგო.** თავში აფრები აუშვა! გესმით?
**ინვიდო.** ო, ბერდო ჩემო!
ჩვენთან, ხომ იცი, ვინ მოგზაურობს?
**ბერდო.** ვინ უნდა იყოს?
**ინვიდო.** შენი ნაცნობი შორეული—სახელად—პლუტოს!
როს ვაპირობდით ჩვენი გემის ზღვაში გაშვებას,!
უცბად ბაქანზე ამოვიდა თავის სტუმრებით.
დღემდე ის ჩუმად იყო დაბლა—დღეს კი ქეიფობს
არ გეგონოს კი მწყუროდეს სისხლი!
მაგრამ...
**ბერდო.** განმიცხადე..
**ინვიდო.** მე არა ერთხელ მითქვამს და ვიტყვი:
ვისაც არ შესწნეს თავის განწირვა,
უნდა დაემხოს...
**ბერდო.** საჭირო არის ჩემი თავი დავიყოლიო.
ეს ორეული ძლიერი მე, ჩემი ზმანია!
და მაშინ, მაშინ! თავის განწირვას
შევიძლებ ოლონდ... მიზანს მივწვდე... ამორდეას.
**ინვიდო.** აგერ ისინიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახლავარ სტუმრებს.

ი გ ი ნ ვ ე, პ ლ უ ტ ო ს — ბ ე დ ი ა — რ ა მ დ ე ნ ი მ ე მ ო ქ ე ი ფ ე თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი. მ ო ც ე კ ვ ა ვ ე ნ ი დ ა კ ო კ ო ტ კ ე ბ ი.

**თანამგზავრები:** დიდებული ხარ!

— ჩვენ მოვიწყენდით.



სვანის ქალის ტიპი.

— ტოლი არ ვინ გყავს...

**პლუტოს-ბედია** (შ ე ქ ე ი ფ ი ა ნ ე ბ უ ლ ი).

შემთხვევით მოვხვდი ამ ხომალდზე... სულაც არ მსურდა—

შეიძლებოდა დამეცადა... მაგრამ ავჩქარდი.

— მოიტათ ღვინო!

ღნინო.. რომ შუშებს სიძველისგან ხავსი ეკიდოს!

ჰეი ისმინეთ! სანამ მოხვალთ ჩემს ქვეყანამდე,

მანამდე მე ვარ ძასპინძელი — აბა აქ ღხინი.

ქალების ცეკვა...

არა, შენ არა! შენ იცეკვე! გიჟური ღელვით!

ბერდო... პატრონი! ხა, ხა!

მე ხომ პატრონს ვალმერთებ... დიახ!

კაცს უნდა ჰქონდეს რამე შეძლება...

განა არ მოგწონს რომ ამ ტალღებს ჩვენც ხმას ვუერთებთ?

ვმღერით! დაიწყეთ! ტალღა მიდის!

**მღერიან:** ტალღა მიდის, ტალღა მოდის

ჩვენთან ერთად ტალღა მღერის!

(ე ს ს ი მ ღ ე რ ა წ ი ნ ა დ ა ც ი ს მ ო დ ა).

**პლუტოს.** ტალღა მიდის...

იცით რა არის ტალღა... ტალღა?

მე თქვენ გიმტკიცებთ რომ საკუთრებას

ტალღისა დიდად ეშინან... ჰო, ეშინიან...

ვის ეშინიან?

წარმოიდგინეთ: ჩვენი ბერდო და მოწყენილი?

ეს იმიტომ რომ საკუთრება დიდი დარდია.

მას ეშინიან. იგი ფიქრობს თავის ხომალდზე.

— იქნებ ჰფიქრობდე სხვა რამეზეც—

ალბად თან ბარგი ექნება კიდეც!

ერთი ვნახოთ და ასტყდა გრიგალი!

I **თანამგზავრი.** რომ ასტყდეს კიდეც, ვსთქვათ ვიღუპებით

ვინ რამდენს მომცემს, გადავარჩინო?

**მგზავრები.**—მე ათას ოქროს.

— მე ორი ათას.

— მთელ ჩემ სიმდიდრეს

— მაშინ მე გთხოვდით, ნება მოგეცათ

ძაბრით ჩამესხა მუცელში რომი.

**პლუტოს.** ნურაფერს შიშობთ! მე გიხსნით ყველას!

ვსვათ და ვილხინოთ, ამით დროს მოვკლავთ.

II **მგზავრი.** აქ თუ დროს მოვკლავთ, ჩვენი ქარხნები

ბევრს მოიგებენ!

I **მგზავრი.** არც ამ მოგებას ჰქონია აზრი!

III **მგზავრი.** ყველაფერი ფუჭი ყოფილა!

IV **მგზავრი.** რომ ჩავიძირნეთ, შემდეგ რაღა ვართ?

I **მგზავრი.** თევზებისათვის კარგი სასუქი!

**მოხუცი თავმოტვლეპილი.** მართლ აცრომ ასტყდეს ზღვაზე გრიგალი,

მშვიდობით ჩემო ცუგრუმელავ, მშვიდობით ცოლო!

II **მგზავრი.** ცოლის ერთგული მარტო ეგ ვნახე.

რა ხიფათსაც კი წარმოიდგენს, მაშინვე სტირის!

III **მგზავრი.** რატომ არ უნდა იტიროს: ჰუ ჰუ! (სტირ ს)

ეგ ჩვენთან არის, ცოლი კი სახლში.

II **მგზავრი.** და მერე ვისთან (ჟესტებით აჩვენებს).

**ყველანი.** ხა, ხა, ხა!

**მოხუცი.** დამცინით, მაგრამ თქვენც ჩემს ბედში ხართ!

თქვენი ცოლები? თქვენი ცოლები?

ხა ხა ხა!

მეც, მეც ვიცინი!

**პლუტოს.** მოსაწყენია ეგ ოხუნჯობა.

გემის პატრონი პოეტია, დღეს ჩვენთან მგზავრობს!

ვსთხოვოთ გვიმღეროს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი ა ღ ტ ა ც ე ბ ა შ ი ა რ ი ა ნ ი ძ ა ხ ი ა ნ: ა ა! ო ო! ბ ე რ დ ო ს).

მართალი არის, დაგირღვიეთ ჩვენ მყუდროება!

— თუმცა, გარწმუნებ, ზღვის ტალღებზედ ნაკლებს ვღრიალებთ!—

ალბად იცოდი: მყუდროების დარღვევას გემზე,

ან თუ შემდეგში აქ ჩვენს შორის უხერხულობას,

დავაჯილდოვებ ერთს ათასად! რა არის ჩემთვის,

თუნდ, მაგალითად, ეხლა გთხოვო, რამე გვიმღერო

და შენ ამისთვის მოითხოვო სულ დიდი... დიდი.

**ბერდო.** სცდები, როდესაც შენ ყველაფერს ოქროს უფარდებ!

**პლუტოს.** არ გვანებიხარ სხვა პოეტებს... ან იქნებ არც ხარ!

რომ იყო მართლაც გეცოდინება:

ოქროს ვუფარდებ რასაც ვხედავ, და ვცვეხები!

შენც, ეს ხომალდიც და ხომალდზე ვინც იმყოფებით

თავის ზრახვებით და მიზნებით, მისწრაფებებით
ყველა ავწონო და ვიყიდო ყვითელ ლითონით.
**ბერდო.** თავხედობ! ვინ ხარ!
**პლუტოც** (უ მ ზ ე რ ს) ვინც იცის შენი ავი და კარგი!
იქნებ გგონია, თავში ღვინო მილიტინებდეს?
და არა ის, რომ შენს გულს ჩავწვდი? შენ გინდა ოქრო!
ხოლო ეს ოქრო ჩემს ხელში არის!
თქვენ რა იშრომეთ? რა გააკეთეთ,
რომ გაქვთ სურვილი დაეპატრონოთ ქვეყნის საუნჯეს?
ან შეგწევთ განა გამოცდილება
მართოთ ქვეყანა?
უსუსურებო!
**ბერდო.** ვინ არის ჩემ წინ, ხმას რომ იმაღლებს?
**პლუტონ.** ფუქსავატური ამპარტავნება!
რომ იყო კაცი მართლა საქმის, მასპინძელი ხარ,
ამასთანავე ელი ჩემგან რამ გამორჩენას,
შენ უნდა გქონდეს თაფლის სიტყვა გულშემპარავი!
გადაჭრით მითხარ:
ისინი ძალას მორჩილებენ, ორატორთ სიტყვებს
მეორეს ვიცნობ ძლიერებს და ყველაზე სუსტებს!
ესენი მუდამ თავს იწევენ, იბერებიან
და ეშმაკობით ფონს გადიან სხვის ზურგზე მჯდარნი:
და მესამენი: ცხოვრებაში წარუმართველნი!
აი, ყველაზე საშიშარნი!—ეს სწორედ შენ ხარ!
**ბერდო.** მეტს ვერ ავიტან!
(ჭიქას გასტეხს)
**პლუტონ.** ხა ხა ხა! (გ ა ტ ე ხ ი ლ ჭ ი ქ ა ზ ე უ თ ი თ ე ბ ს).
აი სიმბოლო შენი მძლეობის!
არ მეგონა თუ გეწყინებოდა.
ჩვენ კი სულ ვცეკვავთ.
შენი მგზავრობაც, ცეკვაა მხოლოდ!
მაშ აბა ერთად:
Sic volo, sic juveo! *)
(ც ე კ ვ ი ს დ რ ო ს შ ე მ ო რ ბ ი ს მ ს ა ხ უ რ ი. თ უ ნ უ გ ა ს ა ბ რ ა ხ უ ნ ე ბ ს).
**მსახური.** შკვალ! შკვალ!
**მგზავრები.** რა ნიშანია?
**მსახური.** განა შენ თვითონ ასე არ ბრძანე?

Коллекц.
Ил. Федосеев
...зуново



შეირაღებულ სვანების ჯგუფი.

რამდენს აფასებთ თქვენ თავს, თქვენს აზრს ხომალდიანად?
იმ ლამაზ ქალსაც მე ვგულისხმობ. რამდენს აფასებ?
იფიქრე და თუ გზა გავცურეთ მშვიდობიანად...
(ჩუმად ელაპარაკება)
მოგიწყენიათ? ჰეი, ცეკვა! ჰეი სიმღერა!
მინდა ორგია კოკოტებთან!
(ც ე კ ვ ა).
შენ ვერ იხსნი კაცობრიობას!
ჩაკვდები, როგორც მატლი ჩაკვდეს მძორის გროვაში!
აბა, მიირთვი! წყენას აქარვებს!
სამს წყებას ვიცნობ: მონებს—ცხვრის ფარას!
შ კ ვ ა ა ლ! (ღელვა ქუხილი)
**პლუტონ.** ჰო, ეგ ბრახუნი ვიგულისხმოთ გრვინვა—ქუხილად!
ნავოსნებიც ხომ მზად არიან?
**მსახური.** ბრძანებისაებრ!
შენმა ჯილდომ ფრთები შეასხათ!
**პლუტონ.** იქ, ჩემს საწოლში?
**მსახური.** სულ მზად არის!
**პლუტონ.** მეგობრებო! აბა წავიდეთ
თორემ ხომალდი გვაქანავებს! ცხადათ არ შევრცხვეთ!

---

*) ასე მსურს, ასე ვბრძანებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ იცით, ლვინოს ხმელეთზედაც ზიანი მოაქვს.
(გადიან პლუტოს და მგზავრები).
**ინვიდო.** კაცს აამაღლებს გამბედაობა.
რაც რამ ადვილად მოიპოვება,
იგი არც გვატკბობს;
ფოლადად აქცევს გულს დაბრკოლება,
მარად სიმკაცრე და სისასტიკე
და არაოდეს ლმობიერება:
და გაიმარჯვებ! მიზანს მიახწევ!
**ზმანია.** ვგონებ ჩვენ ყველა გადაგვრიოს ამ ზღვის ტალ-
ღებმა!
**ბერდო.** ეს ზღვის ტალღები იგივეა, რაც ჩვენი ზრახვა!
**ინვიდო.** ღელავს, ღელვაში სუსტი მუდამ დაილუპება!
და თუ ხარ სუსტი ზღვაში თევზებს გაუხარდებათ!
**ინვიდო.** წადი თამამად!
**ზმანია.** მან ბასრი ჩასცა!..
ახ! სისხლი! სისხლი!
ბალიშ ქვეშ ოქრო! საბუთები. მისი გეგმები!
სისხლი აცხია იმის ფიქრსაც! ვინ შემომკვნესის?
**ინვიდო.** ჩქარა ნავები!
ეს ხომალდი უნდა აფეთქდეს!
სადაც ჩვენ მივალთ: „ბიატორუმ ინზულა“ ჰქვიან!
**ზმანია** აშორდეს!
ვინ მეცხადები? შენ ხომ მოგკლა? მკვდრები სდგე-
ბიან?
**პლუტოს.** (შემოდის კინომატოგრაფიულ აპა-
რატით).
არა! მკვდრები ეღარ სდგებიან!



სვანი ქალები.

**ბერდო.** აბა დაფიქრდი: ამ ცხოვრებას რა ხელმძღვანე-
ლობს?
**ზმანია.** მე შიში მიტანს...
გულში შავს ვფიქრობ!
**ბერდო.** ოქრო! მე არ მაქვს!
როდის შევიძენ?
თუ ვერ შეიძენ, ამ ცხოვრებას ვერც დაეუფლო!
**ზმანია.** ვიცი შავს ზრახვებს დამისახავ, შიშით ვკანკალებ!
**ინვიდო.** ხა ხა ხა!
მაშ სად მისცურავ?
ან შეასრულე რაც გულში გიძევს
ან და ეს გემი თვით ააფეთქე,
რომ უსახელო ჩაგნთქას ტალღებმა.
**ბერდო.** აბა გონს მოდი! ჩვენ რომ გვქონდეს
კეთილშობილურ მისწრაფებასთან ერთად ოქრო,
რას არ შევძლებდით?
**ზმანია.** არ შემიძლიან!
**ბერდო.** მე რომ იმედი არა მქონდეს, ამ წუთს გრიგალი
მძვინვარე ტალღებს სამუდამოდ შეგვაერთებდა!
**ინვიდო.** მხოლოდ დღეს უნდა მოიქმედო შენ დიდი საქმე!
**ბერდო.** (დაშნას იძრობს და მიდის იმ მხარეს
სადაც პლუტოს გავიდა).
მან მომკლა მხოლოდ ოცნებაში...
მან მოკლა მხოლოდ ჩემი ფული *)
აი, ეს მოკლა: ჩემი თაჯინა!
რომელს საწოლში ჩემს მაგიერ დავაწვენ ხოლმე.
სიფრთხილის გამო
მე ისევ ვმეფობ!
**ზმანია.** შევცდი! ო შევცდი!
ო, ბერდო ჩემო!
**პლუტოს.** თქვენი სინდისის მამხილებელი ვარ და ვიქნები!
ცხოვრების საჭე თქვენ გარდმოგეცათ
და შეუძლიან ადამიანს შავი ცხოვრება
გარდააქციოს ნეტარების აღთქმულ ქვეყანად.
**ზმანია.** ბიატორომ ინზულა!
**პლუტოს.** წადით და განვლეთ ამ ცხოვრების ლაბირინ-
ტები.
მეც ამ მანქანით თანამგზავრად უკან მოგყვებით,
ეს აპარატი მაგ შენს სახეს ისე გადიღებს,
როგორიც არის ჩვენი ყოფნის სინამდვილეში!
რას მოიქმედებთ, სამკაოროში გამოცხადდება,
ნახელოვნარი ეს დაგვირჩა დღეს რიალისტი,
**სანდრო შანშიაშვილი.**

*) ფული—ჩუჩელი.

# პარტიული ხაზი ლიტერატურაში.

(რ. კ. პ. ცეკას დადგენილება სამხატვრო ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ)

1. მასების მატერიალურ კეთილდღეობის აწევა უკანასკნელ ხანებში, რევოლიუციის წყალობით აზროვნებაში მომხდარ გარდატეხასა და მასიურ აქტივობის გაძლიერებასა, მსოფლ-მხედველობას უდიდესი გაფართოვებასა და სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, ხელს უწყობს კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდას: ჩვენ, ამგვარად, მოვიქეცით მთელ კულტურულ რევოლიუციის პერიოდში, რომელიც წარმოადგენს წინასწარ პირობას კომუნისტურ საზოგადოებისაკენ შემდეგი მსვლელობისათვის.

2. ამ მასიურ კულტურულ ზრდის ნაწილს წარმოადგენს ახალი — პროლეტარული და გლეხური ლიტერატურის ზრდა, რომელიც იწყება პირველ რიგში ჩანასახოვან, მაგრამ, ამავე დროს არაჩვეულებრივ ფართო ფორმებით (მუშკორები, გლეხკორები, კედლის გაზეთები და სხვ.) და თავდება იდეოლოგიურად ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ სამხატვრო პროდუქციით.

3. მეორეს მხრივ სამეურნეო პროცესის სირთულე, ამავე დროს ერთმანეთის საწინააღმდეგო და ზოგჯერ მტრულ სამეურნეო ფორმების ზრდა, ამ განვითარებით გამოწვეული ახალი ბურჟუაზიის ჩასახვის და განმტკიცების პროცესი, მისადმი ძველი და ახალი ინტელიგენციის ნაწილის აუცილებელი და პირველ ხანებში არაყოველთვის მოფიქრებული ლტოლვა, საზოგადოებრივ წიაღიდან ამ ბურჟუაზიის ახალ-ახალ იდეოლოგიურ აგენტების ქიმიური გამოყოფა, — ყველაფერი ეს აუცილებელ გავლენას უნდა ახდენდეს საზოგადოებრივ ცხოვრების ლიტერატურულ გამოხატულებაზე.

4. ამგვარად როგორც არ სწყდება კლასიური ბრძოლა საერთოთ, სწორეთ ასევე იგი არ სწყდება ლიტერატურულ ფრონტზედაც. კლასიურ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური ხელოვნება, თუმცა ხელოვნების და კერძოთ ლიტერატურის კლასიური ბუნება გამოიხატება უფრო მრავალფეროვან ფორმებში, ვიდრე, მაგალითად, პოლიტიკაში.

5. მაგრამ, სრულიად მიუღებელია მხედველობიდან გაუშვათ ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითადი ფაქტი, სახელდობრ მუშათა კლასის მიერ ძალა—უფლების ხელში ჩაგდების ფაქტი და ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა. თუ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამდე პროლეტარული პარტია ღვივებდა კლასთა ბრძოლას და ამზადებდა მთელი საზოგადოების აფეთქებას პროლეტარულ დიქტატურის პერიოდში პროლეტარიატის პარტიის წინაშე დასმულია საკითხი, როგორ ითანამშრომლოს მან გლეხობასთან და თანდათან გარდაქმნას იგი, როგორ ითანამშრომლოს ბურჟუაზიასთან და თანდათან განდევნოს იგი. როგორ ამსახუროს რევოლიუციას ტეხნიკური და სხვა ინტელიგენცია და იდეოლოგიურად ჩამოაშოროს იგი ბურჟუაზიას.

ამგვარად, თუმცა კლასთა ბრძოლა არ სწყდება, იგი მაინც იცვლის თავის ფორმას, ვინაიდან პროლეტარიატი ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე სცდილობს არსებულ საზოგადოების დანგრევას, ხოლო თავის დიქტატურის პერიოდში პირველ რიგში აყენებს მშვიდობიან—ორგანიზატორულ მუშაობას.

6. პროლეტარიატმა უნდა შეინარჩუნოს, განამტკიცოს, გააფართოვოს თავისი ხელმძღვანელობა და დაიკავოს სათანადო პოზიცია იდეოლოგიურ ფრონტის სხვა და სხვა ნაწილებში, დიალექტიურ მატერიალიზმის შეჭრა სულ ახალ-ახალ დარგებში (ბიოლოგია, ფსიქოლოგია და საბუნებისმეტყველო საგნებში საერთოთ) უკვე დაიწყო. პოზიციის დაპყრობა სამხატვრო ლიტერატურის დარგში სწორედ ასევე ადრე თუ გვიან ფაქტად უნდა გახდეს.

7. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ამოცანა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სხვა ამოცანები, რომელსაც პროლეტარიატი სწყვეტს, ვინაიდან უკვე კაპიტალისტურ საზოგადოების ფარგლებში მუშათა კლასს შეეძლო მომზადებულიყო ძლევა—მოსილ რევოლიუციისათვის, შეექმნა მებრძოლთა და ხელმძღვანელთა კადრები და გამოემუშავებია პოლიტიკურ ბრძოლის მშვენიერი იდეოლოგიური საშვალება. მაგრამ მას არ შეეძლო დაემუშავებია არც საბუნებისმეტყველო სამეცნიერო და არც ტეხნიკური საკითხები და აგრეთვე, როგორც კულტურულად დაჩაგრულ კლასს, არ შეეძლო გამოემუშავებია თავისი სამხატვრო ლიტერატურა, თავისი განსაკუთრებული სამხატვრო ფორმა, თავისი სტილი. თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებრივ—პოლიტიკურ შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის, მას არ მოუპოვებია ასეთივე განსაზღვრული პასუხები ყველა საკითხებზე სამხატვრო ფორმების შესახებ.

8! ზემოთქმულით უნდა განისაზღვროს პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიის პოლიტიკა სამხატვრო ლიტერატურის დარგში. პირველ რიგში ამას ეკუთვნის შემდეგი საკითხები: ურთიერთ დამოკიდებულების შეფასება პროლეტარულ და გლეხურ ე. წ. „თანამგზავრების“ და სხვა მწერლებს შორის, პარტიის პოლიტიკა თვით პროლეტარულ მწერლების მიმართ, კრიტიკის და სამხატვრო ნაწარმოებების სტილის და ფორმის, ახალ სამხატვრო ფორმების გამომუშავების მეთოდების და ბოლოს საორგანიზაციო ხასიათის საკითხები.

9. ურთიერთ დამოკიდებულება მწერალთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის მათი სოციალური ან სოციალურ ჯგუფური შინაარსის მიხედვით განისაზღვრება ჩვენი საერთო პოლიტიკით. მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ხელმძღვანელობა ლიტერატურის დარგში ეკუთვნის მუშათა კლასს მთლიანად, მთელი მისი მატერიალური და იდეოლოგიური რესურსებით. **პროლეტარული მწერლების** გეგემონია ჯერ არ არსებობს და პარტიამ დახმარება უნდა გაუწიოს ამ მწერლებს **მოიპოვონ** ისტორიული უფლება ამ გეგემონიაზე. გლეხთა მწერლებს მეგობრულად უნდა შეხვდეთ და მათ უნდა გაეწიოთ ყოველგვარი დახმარება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა მათი კადრები გადავიყვანოთ პროლეტარული იდეოლოგიის ლიანდაგზე, მაგრამ არ უნდა განვდევნოთ მათი შემოქმედებიდან გლეხური ლიტერატურული სამხატვრო სახეები, როცა აუცილებელ წინასწარ პირობას შეადგენს გლეხობაზე გავლენის მოსაპოებლად.

10. „თანამგზავრების“ მიმართ სახეში უნდა ვიქონიოთ: 1) დიფერენციაცია, 2) მათი მნიშვნელობა, როგორც ლიტერატურულ ტეხნიკის კვალიფიციურ „სპეციალისტების“ და 3) მერყეობა მწერალთა ამ ფენებს შორის. საერთო დირექტივით უნდა იყოს მიჩნეული მათდა-

მი ფრთხილი მოპყრობა, ე. ი. ისეთი მიდგომა, რომელიც უზრუნველჰყოფდა ყველა პირობებს კომუნისტურ იდეოლოგიის მხარეზე მათი ჩქარი გადასვლისათვის. პარტიამ უნდა გაცხრილოს ანტირევოლიუციონური (ეხლა ძალიან მცირე რიცხოვანი) ელემენტები, უნდა ებრძოლოს „სმენა ვეხოველების“ მაგვარ „თანამგზავრებს“ შორის ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგიას და ლმობიერად უნდა მოექცეს საშვალედო იდეოლოგიურ ფორმებს და მოთმენით უნდა შეეცადოს ამ აუცილებელ ფორმების აღმოფხვრას კომუნი-



სამუშაოზე მიმავალი სვანები.

ზმის კულტურულ ძალებთან მჭიდრო ამხანაგური თანამშრომლობის პროცესში.

11. პროლეტარულ მწერლების მიმართ პარტიამ უნდა დაიჭიროს ასეთი პოზიცია: ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მათ ზრდას და მათ ორგანიზაციებს და ყოველგვარი საშუალებით აიცილოს თავიდან კომუნისტური ამპარტავნობა მათ შორის, როგორც ყველაზე დამღუპველი მოვლენა პარტიამ, სწორეთ ამიტომ რომ მათში ხედავს საბჭოთა ლიტერატურის მომავალ იდეურ ხელმძღვანელებას „უნდა იბრძოლოს ძველი კულტურულ მემკვიდრეობას და აგრეთვე სამხატვრო სიტყვის სპეციალისტებისადმი ზერელეთ მოპყრობის წინააღმდეგ. სწორედ ასევე დასაგმობია პოზიცია, რომელიც სათანადოთ ვერ აფასებს პროლეტარულ მწერლების იდეურ გეგემონიისათვის ბრძოლის მნიშვნელობას კაპიტულიაციის წინააღმდეგ ერთის მხრივ. და კომუნისტურ ამპარტავნობის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ,—ასეთი უნდა იყოს პარტიის ლოზუნგი. პარტიამ უნდა იბრძოლოს აგრეთვე „პროლეტარულ“ ლიტერატურის ხელოვნურად დანერგვის წინააღმდეგ. ფართოდ უნდა შეეხოს მოვლენებს მთელი მათი სირთულით; არ უნდა ჩაიკეტონ ერთი ქარხნის ჩარჩოებში. უნდა იყოს არა „ცეხის ლიტერატურა, არამედ მებრძოლი დიდი კლასის, რომელიც წინ უძღვის მილიონიან გლეხებს,—ასეთი უნდა იყოს პროლეტარული ლიტერატურის შინაარსის ჩარჩოები.

12, .ზემოთქმულით საერთოდ განისაზღვრება კრიტიკის ამოცანებიც, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ აღ-

მზრდელობითი იარაღს პარტიის ხელში კომუნისტური კრიტიკა ერთ წუთითაც არ უნდა სთმობდეს კომუნიზმის პოზიციებს, უკან არ უნდა იხევდეს პროლეტარულ იდეოლოგიისაგან, უნდა ააშკარავებდეს სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ობიექტიურ კლასიურ აზრს და ამავე დროს დაუზოგავად უნდა იბრძოდეს ლიტერატურაში კონტრ-რევოლიუციონურ სულისკვეთების წინააღმდეგ ამჟღავნებდეს „სმენა—ვეხოველების“ ლიბერალიზმს და ამავე დროს იჩენდეს უდიდეს ტაქტს, სიფრთხილეს და ლმობიერებას ყველა იმ ლიტერატურულ ფენებისადმი, რომელთაც შეუძლიათ გაჰყვენ პროლეტარიატს და კიდეც გაჰყვებიან მას. კომუნისტურმა კრიტიკამ უნდა განდევნოს ლიტერატურული ბრძანებლობის კილო, მხოლოდ მაშინ ამ კრიტიკას ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როდესაც დაეყრდნობა თავის იდეურ უპირატესობას· მარქსისტულმა კრიტიკამ გაბედულად უნდა განდევნოს თავის წრიდან ყოველგვარი თვითკმაყოფილი კომუნისტური ამპარრტავნობა. მარქსისტულმა კრიტიკამ უნდა წამოაყენოს ლოზუნგი—„ისწავლეთ“ და უკუაგდოთ ყოველგვარი მაკულატ·ურა და უპასუხისმგებლობა თავის საკუთარ წრეში·

13· პარტია შეუცდომლად უნდა არჩევდეს ლიტერატურულ მიმდინარეობათა საზოგადობრივ და კლასიურ შინაარს და არავითარ შემთხვევაში განსაკუთრებული მიმდევრობა არ უნდა გამოიჩინოს რომელიმე მიმართულებისადმი ლიტერატურულ ფორმ·ს დარგში. ხელმძღვანელობს რა ლიტერატურას მთლიანად, პარტიას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ლიტერატურის ერთ რომელიმე ფრაქციას (უნდა ჩამოაყალიბოს ეს ფრაქციები ფორმაზე და სტილზე შეხედულებათა სხვადასხვაობის მიხედვით), ისევე როგორც მას არ შეუძლია რეზოლიუციებით გადასჭრას საკითხები ოჯახის ფორმის შესახებ, თუმცა, საერთოთ, იგი ხელმძღვანელობს და კიდეც უნდა ხელმძღვანელობდეს ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობას. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ხანისათვის შესაფერისი სტილი გამომუშავდება სხვა მეთოდებით და ამ საკითხის გადაჭრა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული. უნდა იქნას უარყოფილი ყოველგვარი ცდა შებორკილ იქნეს პარტია ამ მიმართულებით ქვეყნის კულტურულ განვითარების დღევანდელ პერიოდში.

14. ამიტომ პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს სხვადასხვა ჯგუფების და მიმდინარეობათა შეჯიბრებას და მიმდინარეობათა შეჯიბრებას ამ დარგში. საკითხის სხვანაირად გადაჭრა. იქნებოდა სახაზინო ბიუროკრატიული ცრუ გადაჭრა. სწორეთ ასევე დაუშვებელია დეკრეტით ან პარტიული დადგენილებით გათვალისწინებული რომელიმე ჯგუფის ან ლიტერატურულ საგამომცემლო საქმის ლეგალური მონოპოლიის მინიჭება. მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევს რა პროლეტარულ და პროლეტარულ-გლეხურ ლიტერატურას და დახმარებას უწევს რა „თანამგზავრებს“, პარტიას არ შეუძლია მიანიჭოს მონოპოლია ერთ რომელიმე ჯგუფს, თუნდაც ყველაზე პროლეტარულს თავისი იდეური შინაარსით, ეს მოასწავებდა უწინარეს ყოვლისა პროლეტარულ ლიტერატურის დაღუპვას.

15. პარტიამ უნდა აღმოფხვრას ლიტერატურულ საქმეებში თვითნებით, არაკომპეცენტურ, ადმინისტრატიულ ჩარევის ცდა, პარტია უნდა ზრუნავდეს პირების შერჩევაზე იმ დაწესებულებებში, რომელნიც განაგებენ ბეჭდვითი საქმეს, საცა უზრუნველყოფილი იქნას ჩვენი ლიტერატურის ჭეშმარიტად სწორი, სასარგებლო და მოხერხებული ხელმძღვანელობა.

16. პარტიამ უნდა უთხრას სამხატვრო ლიტერატურის ყველა მუშაკებს, რომ საჭიროა ფუნქციების სწორი გამიჯნვა კრიტიკოსებსა და მწერალ მხატვართა შორის, უკანასკნელებისათვის საჭიროა მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ლიტერატურულ პროდუქციაში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, და თანამედროვე ცხოვრების დიდი მასალის გამოყენება.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეროვნულ ლიტერატურის განვითარებას ჩვენი კავშირის მრავალრიცხოვან რესპუბლიკებში და ოლქებში. პარტიამ ხაზი უნდა გაუსვას, რომ საჭიროა ისეთი სამხატვრო ლიტერატურის შექმნა, რომელიც ნავარაუდევი იქნება მუშათა და გლეხთა ნამდვილად მასიურ მკითხველისათვის გაბედულად და გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ არისტოკრატიული ცრუმორწმუნოებანი ლიტერატურაში და გამოვიმუშაოთ მილიონებისათვის გასაგები სათანადო ფორმა ხელოვნების ყველა ტეხნიკური მიღწევათა გამოყენებით

მხოლოდ მაშინ შეასრულებენ საბჭოთა ლიტერატურა და მისი პროლეტარული ნაწილი თავის კულტურულ ისტორიულ მისიას, როდესაც გადასჭრიან ამ უდიდეს ამოცანას.

# ხელოვნებაზე

მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა თავისი დადგენილება ხელოვნების საკითხების შესახებ, მე თითქმის არაფერის თქმა არ შემიძლია ამ დადგენილების შესახებ, რადგან, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი სავსებით ვეთანხმები ჩვენი ცეკას დადგენილებას. აქ ყველაფერი აშკარა და გამორკვეულია. საქართველოს პირობებში პარტია უკვე მუშაობდა იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დადგენილებას. მათ, ვინც გულწრფელად იდგა საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ჩვენ ვაძლევდით ყოველგვარ საშუალებას გამოეჩინათ თავისი ნიჭი და შემოქმედება. სანამ გამოქვეყნდებოდა რ. კ. პ. რეზოლიუცია, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს უკვე დამუშავებული ჰქონდა პროექტი რეზოლიუციის ხელოვნების საკითხების შესახებ. ეს პროექტი სავსებით ეთანხმება გამოქვეყნებულ დადგენილებას. აქტიურ მწერლობასთან თანამშრომლობის საკითხი ჩვენში დიდი ხანია გადაჭრილი იყო. ჩვენი პარტიის მთავარი მიზანია აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების ინტერესების დაცვა, და მათი განთავისუფლება კაპიტალიზმის მონობისაგან. ნუ თუ ვინმე დაეჭვდება მასში, რომ საქართველოში ჩვენ არ მივმართავთ ყოველგვარ საშუალებას რომ უზრუნველვყოთ ქართული ეროვნული კულტურა. ჩვენ გაუშლით ფართო გზას ქართულ მწერლობას, თეატრს, მუსიკას, მეცნიერებას, მხატვრობას. მაგრამ თუ ხელოვნება, კულტურა, მოინდომებს ემსახუროს ჩვენს საწინა-

აალმდეგო კონტრევოლიუციონურ მიზნებს, მაშინ ჩვენი ბრძოლა დაუზოგავი იქნება.

ჟურნალ „მნათობში“ ამას წინად დაბეჭდილი იყო გ. ტ. პოემა, სადაც ავტორი მხატვრულ ფორმის სახით, გვაწვდის მეტად ვულგარულ რეაქციონურ სახეებს. ეს ლექსი აშკარად მომართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გზა არაფრად არ ვარგა. მწერლობა ამას უნდა ერიდოს.



მთა თვეთნულდი.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, მე სრულებით არ ვიზიარებ ზოგიერთ „მემარცხენე“ ამხანაგის პოზიციას ლიტერატურის და საზოგადოთ ხელოვნების საკითხებში. რა თქმა უნდა მე არ ვეთანხმები ამხ. ვარდინსაც. რ. კ. პ. რეზოლიუციაში ბევრათ მეტია ვარონსკის შეხედულობის ხაზები ვიდრე ვარდინის და „ნაპოსტოვცების“. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ვარდინის „ძიებაში“ არის ისეთი მომენტები, რომელთაც აქვთ მომავალი ნიადაგი. ათი წლის შემდეგ კომუნისტური და პროლეტარული პსიქოლოგია უსათუოდ დამკვიდრდება მხატვრულ შემოქმედებაში. თუ ეს არ მოხდა, ჩვენ დამარცხებული ვიქნებით.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ჩვენში გაჩენილ პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტის (პროლემაფ) შესახებ. აქ შეკრებილ ახალგაზრდობას ჯერ არა აქვს გარკვეული იდეოლოგია. ისინი ალბად ჰფიქრობდენ, რომ მათი ჟურნალი სავსებით გამომხატველია პროლეტარულ იდეოლოგიის, მაგრამ კურიოზი შეემთხვათ. ჟურნალში დაბეჭდილი იყო ერთი პიესა, რომელიც სავსე იყო რეაქციონურ შინაარსით. ამ ახალგაზრდობას ჩვენ ვერ მივცემთ რაიმე განსაკუთრებულ პრივილეგიებს ან მწერლობაში მეთაურობის საჭეებს. მათ სჭირდებათ ბევრი მუშაობა ვნახოთ რამდენათ შესძლებენ ისინი შემდეგში ნამდვილ პროლეტარულ მწერლობის სახელის დამსახურებას, რაც ჩვენთვის ფრიად სასურველი იქნება

ს. ორჯონიკიძე.

# პარტიის ხაზი ლიტერატურაში

რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელ დადგენილებით შესახებ ოლიტიკისა ხელოვნების სფეროში და, მხატვრულ ლიტერატურაში—ბოლო მოეღება აზრთა უთანხმოებას ამ საკითხის გარშემო ჩვენ პარტიულ წრეში. არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი პარტია, ამ უკანასკნელ ხანაში, ასე დაუხლოვდა ამ საკითხს და შეუდგა მთლიან პოლიტიკის ღემუშავებას ამ დარგში. მებრძოლ მუშათა კლასის პარტიას, უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ გადატრიალების დროს, როდესაც ის მთელ თავის ძალებს ახმარებდა გააფთრებულ ბრძოლას უმაგალითო დაბრკოლებების დასაძლევად, არ შეეძლო პირველ წლებში დაშორებოდა ამ გადამწყვეტ ამოცანებს და მიექცია დიდი ყურადღება ხელოვნების საკითხისათვის.

ეხლა ეს დრო დადგა პოლიტიკურ და ეკონომიურ

პოზიციებზე გამაგრების შემდეგ, პროლეტარიატი იწყებს იდეოლოგიურ მაღლობების დაპყრობას, რაც ადვილ საქმეს არ წარმოადგენს.

ამხ. ლენინი თავის უკანასკნელ წერილში კოოპერაციის შესახებ ამბობს: „ჩვენი მოწინააღმდეგენი არა ერთხელ გვეუბნებოდენ, რომ ჩვენ ვიწყებთ სრულებით უაზრო საქმეს, ვინაიდან გვინდა დავამყაროთ სოციალიზმი არა საკმარისად კულტურულ ქვეყანაში. მაგრამ ისინი შესცდენ იმაში, რომ ჩვენ არა იმ მხრიდან დავიწყეთ, როგორც (ყველა პედანტების) თეორიაში არის მიღებული და კიდევ რომ **ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება გახდა წინამორბედი იმ კულტურულ გადატრიალების და კულტურულ რევოლიუციისა, რომლის წინაშე ჩვენ ეხლა მაინც ვდგევართ**". მაშასადამე, უკვე 1923 წ. ამხ. ლენინი გვეუბნებოდა, რომ ჩვენ ვიწყებთ მთლიან კულტურულ რევოლიციის სფეროში შესვლას.

ლენინი ამ კულტურულ რევოლიუციას არ სთვლიდა უცბად და ორ წუთში შესასრულებელ საქმეთ. ლენინი განაგრძობს: „ჩვენთვის საკმარისია ეხლა ეს კულტურული რევოლიუცია იმისათვის, რომ შევიქმნეთ სავსებით სოციალისტურ სახელმწიფოთ, მაგრამ ამისათვის იგივე კულტურული რევოლიუცია წარმოადგენს ჩვენთვის წმინდა კულტურულ ხასიათის სიძნელეს (რადგან ჩვენ უვიცნი ვართ) და აგრეთვე მატერიალურ ხასიათის სიძნელეს (რადგან, თუ გინდა, რომ კულტურული იყო, საჭირო არის მატერიალურ საშუალებათა შესაფერი განვითარება წარმოებისათვის და აგრეთვე ერთგვარი მატერიალური ბაზა)".

წერილში: „Лучше меньше, да лучше" ამხ. ლენინი სწერს: „ჩვენ ძალაუნებურად ვიღებთ ამ თვისებას (ე. ი. დაუნდობლობას და სკეპტიციზმს მ. კ.) იმათ წინააღმდეგ, ვინც მეტის მეტად ბევრს და მეტის-მეტად იოლად ლაპარაკობს, მაგ., „პროლეტარულ" კულტურის შესახებ: ჩვენთვის ამ თავითვე შესაძლებელია გვერდი აუაროთ იმ კულტურას, რომელიც ბურჟუაზიულ პერიოდამდე ჩამოყალიბდა ე. ი. ჩინოვნიკურს და ბატონყმურს, და სხვა ამგვარს. **კულტურის საკითხებში აჩქარება და დაუკვირვებლობა ყველაზე უფრო მავნებელია** საჭირო არის, რომ ეს ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატორებმა და კომუნისტებმა კარგად დაიხსომონ".

ამხ. ლენინის ამ ძირითადი დებულებით უნდა იქნეს გამორკვეული პარტიის ხაზი კულტურის დარგში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ც. კ. რეზოლიუცია წარმოადგენს ამ აზრების განვითარებას მხატვრულ ლიტერატურის საკითხებში.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც ლაპარაკია კლასობრივ შინაარსზე ხელოვნებაში და აგრეთვე იმის შესახებ, რომ „კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იქნეს ნეიტრალური ხელოვნება"— რეზოლიუცია არსად ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს პროლეტარულ კულტურას—რაზედაც ასე ბევრი ლაპარაკი უყვართ ზოგიერთ „ახალგაზრდა ლიტერატორებს", როგორც პროლეტარულს, ისე სრულებით არა პროლეტარულ ცენტრებში.

რეზოლიუციაში ლაპარაკია მხოლოდ პროლეტარულ და პროლეტარულ-გლეხურ **ლიტერატურაზე**, რომელსაც ჩვენ ვალდებული ვართ მატერიალურად და მორალურად გაუწიოთ დახმარება; ლაპარაკია აგრეთვე ლიტერატურის სწორ ხელმძღვანელობაზე, რაც სავსებით ეკუთვნის მუშათა კლასს მთელი თავისი მატერიალური და იდეოლოგიური რესურსებით. სხვათა შორის რეზოლიუცია აღნიშნავს „რომ **პროლეტარულ მწერლების ჰეგემონია ჯერ არ არის**, ხოლო პარტიას ევალება დახმარება გაუწიოს ამ მწერლებს, რათა მათ მიეცეთ საშუალება **მოიპოვონ** ისტორიული უფლება ამ ჰეგემონიისა". მაგრამ, როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს? რა თქმა უნდა არა დეკრეტის სახით, არა ლიტერატურულ ბრძანებით და, მით უმეტეს, არა ამჩატებულ და უდიერ განწყობილებით ძველ კულტურულ დანატოვართან და „თანამგზავრებთან", (попутчики), რომლებიც მხატვრული სიტყვის სპეცები არიან, ვინაიდან, როგორც ამხ. ლენინი ამბობს: „პროლეტარული კულტურა უნდა წარმოადგენდეს **ამ ცოდნათა მარაგის კანონიერ განვითარებას**, რომელიც კაცობრიობამ შეიძინა კაპიტალისტურ, ბატონყმურ და ჩინოვნიკურ საზოგადოებათა უღელის ქვეშ". პარტიის ლოზუნგი არის: „კაპიტულიანტების წინააღმდეგ ერთის მხრით, და კომუნისტურ ამპარტავნობის—მეორეს მხრით".

თავის თავად ცხადია, როდესაც ჩვენ ვიწყებთ ახალ პოზიციების დაპყრობას, შეუძლებელია მაშინ წინდაწინვე კაპიტულიაცია, უკან დახევა, რაც თავის თავად ამ პოზიციების დაკარგვას და ფრონტზე დამარცხებას ნიშნავს.

ამგვირი სულიერი განწყობილება უკუგდებულ უნდა იქნეს კომუნისტების მიერ, რომელთაც ესმით ბრძოლის მნიშვნელობა იდეურ ჰეგემონიისათვის, რომელიც თავის თავად დამყარებულია იდეურ **უპირატესობაზე** შედარებით მოწინააღმდეგე ძალებთან.

და ამისათვის, მით უმეტეს, უფრო მეტი სისასტიკით ჩვენ უნდა ვებრძოლოთ კომუნისტურ ამპარტავნებას, კომუნისტურ ტრაბახობას და სხვა ამგვარ „ბავშურ-მემარცხენების" ავადმყოფობას, რომელიც ყველაზე უფრო საშიშოა ჩვენი საქმისათვის და ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ბრძოლაში ჰეგემონიის მოსაპოებლად.

იმავე დროს ჩვენ ხშირად ვხვდებით ამგვარ კომუნისტურ ამპარტავნობას: კერძოდ საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ასე სუსტია პროლეტარული და პროლეტარულ-გლეხური ლიტერატურა — ვიყოთ გულახდილი — ამაში ჩვენც მიგვიძღვის დანაშაული

**ჩვენ ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება ჩვენს პროლეტარულ მწერლებს**; ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ სამწუხაროდ, არა გვაქვს მტკიცე ნიადაგი პროლეტარულ ლიტერატურის გასავითარებლად, ვინაიდან მეტის-მეტად მცირეა ჩვენი პროლეტარიატი; მეორეს მხრით, თვით პროლეტარულ მწერლების მოღვაწეობა ვერ ამართლებდა ჩვენს იმედებს. რადგან, მხოლოდ უდიერი მოპყრობით კულტურულ მემკვიდრეობისადმი და მცირე ს[illegible] ისწავლო, ისწავლო და კიდევ ისწავლო, ვერავითარ ხელოვნებას ვერ შექმნი. **ჩვენ საკმაოთ დიდი ყურადღება მივაქციეთ ჩვენ „თანამგზავრებს"**. მათ არა აქვთ, ჩემის აზრით, საბუთი იყვნენ ჩვენით უკმაყოფილო. სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია არ ვიყოთ კმაყოფილი და ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართულ ცხოვრების ასახვაში და თანამედროვე მუშურ-გლეხურ მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, „თანამგზავრებმა" მიაღწიეს მეტად მცირე შედეგებს.

ჩვენი ლიტერატურის და თეატრის მოღვაწეების შესახებ შეიძლება ითქვას: „ერთის დაშორდენ და მეორეს ვერ

მიუახლოვდენ“. ჩვენ ამას ვლაპარაკობთ არა საყვედურის სახით, არამედ მტკიცე რწმენით, რომ ეს შეცდომები უთუოდ იქნება გასწორებული. ეპოქის შესაფერისი სიტყვა და გამოთქმა იქნება მონახული და სწორი გზით ამხანაგურ თანამშრომლობით კომუნიზმის კულტურულ ძალებთან წამოვლენ რევოლიუციის „თანამგზავრები“, რომლებიც დღესდღეობით გზაჯვარადინზე დგანან.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ჩვენი მერყეობის და ნაწილობრივ შეცდომებისა ქართულ სამხატვრო ლიტერატურის საკითხებში, მიუხედავად შედარებით, ჩვენი მცირე მიღწევებისა, პრაქტიკულ მუშაობაში, —ჩვენი მთავარი ხაზი საერთოდ ქართულ პირობებში, არ დაშორებია იმ დებულებებს, რომლებიც რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუციაში არის. ეხლა ჩვენ დაგვჭირდება დეტალურად დამუშავება, გამორკვევა ჩვენი ხაზის, რასაც ჩვენ ამ უახლოეს დროში შევსძლებთ, როდესაც გამოქვეყნებულ იქნება საქ. კომ. პარტ. ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუცია.

ჩვენ მძიმე და საპასუხისმგებ ამოცანის წინაშე ვდგევართ

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი კულტურული პრობლემაც ჩვენ მიერ ღირსეულად იქნება გადაჭრილი, მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო მეტ დაბრკოლებებს შეიცავს, ვიდრე ჩვენი მუშაობა სხვა დარგებში.

ამისი თავდებია ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობის სიძლიერის გამაგრება, მისი მატერიალური ბაზები და პოლიტიკურ აქტივობის განვითარება მილიონ მუშათა და გლეხთა მასებში, რომლებიც მიილტვიან კომუნიზმისაკენ.

მიხ. კახიანი.

---

მაქს ბარტელი.

## დიდი გზა

გზა მომევლინა, ვით გამოცანა,
ახლა ყველაფერს მისგან მოველი.
და ალტაცების წმინდა ოსანა
ისმის. კარგია წუთი ყოველი.

ზეცის შესახებ მე რა ვიცოდი,
მე რა ვიცოდი ულრმეს ლამეზე?
წყარო! შენ ბაგე გამომიწოდე,
და შენი ესცანი მე სილამაზე.

სასტიკ გრიგალებს მე ვდარაჯობდი
და მათი სუსხით ვიყავ გმობილი.
ქალარა ზამთრის ყინვას ვაჯობე,—
ის იყო ჩემგან უარყოფილი.

შავი ღრუბლების მწუხარე ხაზი,
ელვის და მეხის მთელი კრებული
მიემართება უმაღლეს მთაზე,
თითქო მიწაა აჯანყებული.

და როცა გატყდა ზეცის ბარძიმი,
ცისარტყელასი გამოჩნდა წყლული.
ზევით აფრინდა მძიმე არწივი
და აიტანა თან ჩემი გული.

შემოსილები შვიდივე ფერით
მიალერსებენ მე გორაკები.
ტყემ, გაბანგულმა ალურ სიმღერით
დაიწყო ცეკვა—მზისგან ნაქები.

ამაყ ქალაქის მწველ დიდებათა
დაუღალავი ფეთქდა საყვირი.
ნათელმა ქუჩამ, რაც კი ებადა,
არომატებათ სწრაფად დაღვარა.

გიჟ პლანეტების ხმიერი გრგვინვა
და მსოფლიოსი მძ მე გრაგანი
ისმოდა, როგორც მზის ურაგანი,
როგორც ხოტბათა დიდი გუგუნი.

უკან დავტოვე მე სიმძიმილი,
უცნობი ღვინით მთვრალი, მღელვარე
და ბოლოს ვნახე ნეტარ ღიმილით
ქვეყნის საზღვარზე—ზღვა მოელვარე.

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის.

---

# ს ვ ა ნ ე თ ი.

სვანები ეკუთვნიან იაფეტურ მოდგმის ქართულ შტოს. უძველესი დროიდან მათი საბინადროა ენგურისა და ცხენის წყალის სათავეებში, კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ აღმოსავლეთის მთის კალთებში, დაუსრულებელ თოვლის უდაბნოებში და სასტიკ მყინვარებში, რომელთა ძირში ყვავილოვანი საბალახო მთებია გაშლილი, ხოლო ქვემოთ დაბურული ტყეები.

VII ქრ. დაბ—მდე სვანები სხვა ქართულ შტოებთან ერთად ცხოვრობდენ მცირე-აზიაში: ტიგრის ეფრატის ვაკეებში, ქალდეაში, მესოპოტამიაში და შემდეგ ვანის ტბისა და არარატის გარშემო ანუ ძველს „ურარტუ“-ს სახელმწიფოში. აქედან ისინი სხვა ქართველებთან ერთად იდევნებიან თანისთანობით სემიტებისგან და 5—6 საუკ. ქრ—მდე სვანები, თითქმის პირველნი შემოდიან ამიერკავკასიაში და აქაც, ჩრდილოსაკენ დახევით იკავებენ დღევანდელს სვანეთის ტერიტორიას...

ქალდეაში და მესოპოტამიაში ცხოვრებას სვანები დღესაც იგონებენ უძველეს ფერხული სიმღერით: „იავქალდი“.

„იავ ქალდი და ბებუცია
ხოფელ ქალდუში შუშპარია
შუშპარს დაბლა ქვიანია
ქვიანს დაბლა მზიანია“.

საუკეთესო დასაბუთება სვანების პირველი ბინადრობისა არის სვანეთის საგეოგრაფიო სახელები ხსოვნა

სვანებთან მცხოვრებ ქართველი ტომების („ხგთ"—ხეთები, „მესხ"—მესხები, „ჯიქ"—ჯიქები და სხ.) და ის გარემოება, რომ ვანის ლურსმული წარწერების წაკითხვა მეცნიერებას სვანური ენის შესწავლამ შეაძლებინა.

მარრის თქმის არ იყოს, სვანეთში მისული დღესაც გრძნობს ურარტიელების ეპოქის წარმართულს კულტურულ ატმოსფერას.

გეოგრაფი სტრაბონი (1 საუკ.) სვანებს იხსენიებს ვაჟკაცობით და სამხედრო საქმის ცოდნით, აღნიშნავს მათს ბინძურად ცხოვრებასაც.

„სვანებს ჰყავთ თავის. ხალხის მიერ ამორჩეული მეფე და საბჭო რომელიც შესდგება 300 კაცისაგან. იგი-

იმპერიალისტური რუსეთი მხოლოდ 1847 წ. ახერხებს შესვლას სვანეთში, მაგრამ 70-იან წლებში მოსახლეობა უმართავს მათ აჯანყებას და მთავრობაც იძულებული ხდება დათმობის გზაზე წავიდეს.

1905 წ. სვანეთი მონაწილეობას იღებს რევოლიუციურს მოძრაობაში.

ძველად, სვანეთი უსათუოდ კულტურული ქვეყანა იყო და მისი ეკონომიური მნიშვნელობაც (ოქრო) შესამჩნევია სვანები ამუშავებდნენ მადნეულს მაგრამ შემდეგში სვანეთი ჩამორჩა და პრიმატიულს პირობებს მიჰმართა.

უმთავრესი ადგილი სვანების ესონომიურ ცხოვრებაში დღეს უჭირავს მიწის დამუშავებას, მესაქონლეობას,



მთა თვეთნულდ სვანეთში.

ნი ხელმძღვანელობენ გარშემო მოსახლე ერებს, რომლებზედაც ბატონობენ ამბობენ, რომ მათ შეუძლიანთ გამოიყვანონ საომრად 200.000 მხედარი".—ამბობს სტრაბონი.

ბიზანტიელი ისტორიკოსები აღნიშნავენ სვანეთის ოქროს, რომელსაც ქვიშის სახით, მდინარიდან იღებდნენ ნადირის ტყავით. აქედან არსებობს ალბათ, მითი ოქროს ვერძის შესახებ.

სვანეთი საქართველოს პოლიტიკური სხეულის განუყრელი ნაწილი იყო. განსაკუთრებით XII საუკ. სვანეთი შესამჩნევს პოლიტიკურს როლს თამაშობდა. საერთოდ, სვანეთი საქართველოს საერისთაოს, შეადგენდა.

არ არის საქართველოში კუთხე, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ასე თავისუფლად და დამოუკიდებლათ ეცხოვრა, როგორც მეფეებისგან ისე თავისი თავადებისაგან (დადეშქელიანები).

სვანეთის თავისუფლების ნიადაგი იყო მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ამით ისარგებლეს სვანებმა და ყველაზე ადრე გადიგდეს უღელი ფეოდალიზმისა. ხოლო

მეფუტკრეობას, მაგრამ რადგან ყველა ამ დარგებს პრიმიტიულად აწარმოებენ, ამიტომ არც ერთი ხსენებული დარგი არ არის განვითარებული.

სვანები სთესავენ პურს, ცერცვს, მუხუდოს, სიმინდს, შვრიას, ოსპს, კანაფს, მაგრამ ყველაზე მეტი ქერი ითესება, რომლის არაყიც სვანეთში ღვინის მაგიერობას უწევს.

გარდა მესაქონლეობისა და მეფუტკრეობისა, რომელსაც ჯერ რიგიანად ფეხი ვერ მოუკიდია დიდი მნიშნელობა ეძლევა სვანეთის ხე-ტყეს, ოქრო ვერცხლს, და სამკურნალო წყლებს. აღსანიშნავია, რომ ტყის ექსპლოტაცია დღეს ფართო ხასიათს ღებულობს. ეს ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა ნანადირევს. ყოველწლიურად სვანებს ბაზარზე გასასყიდათ მიაქვთ 500 მეტი კვერნა, მელა, მგელი და დათვი, რომელთაც და პირდაპირ ფართალზე სცვლიან ან ფულზე ჰყიდიან.

გარდა ამისა, სვანეთში გავრცელებულია გაცვლა—გამოცვლითი მრეწველობა, რასაც ხელს უწყობს თერგისა და ყუბანის ოლქები.

ამასთან სვანები „გარეღაც" გადიან სამუშაოდ. მაგ. წრეულს ერთი ჯგუფი სვანებისა ტფილისშიც მუშაობს. (საბურთალოზე).

მაგრამ სვანეთი ისევ ჩამორჩენილია და ისევ კარჩაკეტილ ცხოვრებას განაგრძობს.

სვანეთის უდიდესი უბედურობაა ცნობილი სვანური ავადმყოფობა „ჩიყვი" ანუ კრეტინიზმი, რომლითაც 10% დაავადებული, ჯანმრთელობის საკითხები კიდევ მოუგვარებელია და ამჟამად სვანეთში მრავალი სნეულება მძვინვარებს ამას დაუმატეთ უსწავლელობა, სიბნელე, ძველი ადათები, ზნე-ჩვეულობა, „სისხლის აღება" და თქვენ წარმოიდგენთ რამდენი საქმეა გასაკეთებელი მიყრუებულ სვანეთში.

სვანეთის განახლება, გაღვიძება დაუსრულებელი ძილიდან ეკუთვნის საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც სვანეთს ახალი ისტორიული ხანა შეუქმნა. მთელი რიგი ფაქტების ლაღადებს ამის შესახებ. თუ რა ყურადღებით ეკიდება დღევანდელი ხელისუფლება სვანეთს ეს შეიძლება ცოცხალი მაგალითებით „თვითმპყრობელობის დროს წელიწადში სამი თვით ერთი ექიმის და ერთი ფერშლის, ერთი საავადმყოფოს და ერთი ბებია ქალის მაგიერათ დღეს არის 7 ექიმი, 2 ფერშალი, 2 ბებია ქალი, 4 საავადმყოფო პუნქტი ხუთ-ხუთი საწოლით, შესაფერი ტანთსაცმელით და წამლებით; სამი თვით გამომძიებლის მოსვლის ნაცვლათ, ორი სახალხო სასამართლო, ორი გამომძიებელი; სვანეთის საბოქაულოს სვანეთის მაზრათ გადაქცევა; ერთი სამაზრო სარაიონო აღმასკომი; 4 უბნის ადმინისტრატიული პუნქტი; ერთი სამაზრო მილიციის სამმართველო, ყველა ამისათვის საჭირო შენობების აგება; ბავშთა თავშესაფარი და მრავალ-რიცხოვანი სვანების შვილების სახელმწიფო ხარჯზე მიღება სხვა და სხვა ქალაქებში (მარტო ტფილისში მთავრობის ხარჯზე 70 სვანის ბავში იზრდება).

სკოლების დანგრეულ შენობების შეკეთება, განახლება და აღდგენა, რამოდენიმე ახალი სკოლის გახსნა, 4 ახალი შენობის აგება ბეჩოში, სახელმწიფო სავაჭროების და კოოპერატივის გახსნა, სამკითხველოების დაარსება, ფოსტა ტელეგრაფის გაყვანა; მესტიაში 20 ოთახისგან შემდგარი ორსართულიანი ქვის სახლის აშენების დაწყება, სვანეთის აღმასკომის ყველა დაწესებულებათა მოსათავსებლად.

იქვე მეორე ორსართულიანი 20 ოთახიან ქვის სახლის აშენების დაწყება ცენტრალურ საავადმყოფოსთვის. აბანოსთვის ქვის შენობის აგების დაწყება მესტიაში ბეჩოში სამეურნეო სასწავლებლის გახსნა. მეფუტკრეობის და მერძევეობის თანამედროვე წესების ხალხისთვის გასაცნობათ სპეციალისტების მოწვევა პურის სალეწი და გასანიავებელი მანქანების შეძენა; კლუბის დაარსება და სასადილოს გახსნა მესტიაში, ორ ადგილას რადიო სადგურის მოწყობის განზრახვა. საკრედიტო ამხანაგობის დაარსება. წერა-კითხვის უცოდინარო სალიკვიდაციო მუშაობა. კინოს შეძენა. საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოს გახსნა, თიხის ჭურჭლის ხალხისთვის მისაწვდენათ თიხის პატარა ქარხნის გახსნა და რაც უმთავრესია, ფეოდალური უღლის სიმძიმისაგან ხსნა და გლეხკაცობის მძიმე გადასახადებისაგან განთავისუფლება და სხვა.

ამნაირად — ამბობს „ძველი და ახალი სვანეთის" ავტორი ეგნატე გაბლიანი „საქმის დაკვირება, საღი აზროვნება, მჭერმეტყველურათ ლაღადებს და იმ ფაქტის წინაშე გვაყენებს, რომ რაც ბოლშევიკების მიერ ასეთ მძიმე რევოლუციონურ პირობებში ამ მოკლე ხნის განმავლობაში გაკეთებულა და კეთდება სვანეთში, მას ოდნავაც ვერ შეედრება წინანდელი მთავრობების მრავალწლების ნორმალურ პირობებში მუშაობა".

ვგონებთ ამ სიტყვებს ზედმეტი დამატება არ სჭირია.

# ბიბლიოგრაფია

## ძველი და ახალი სვანეთი

ეგნ. გაბლიანი.

**ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1925 წ.**

ეგნ. გაბლიანის წიგნი სწორე და საფუძვლიან მასალებს იძლევა სვანეთის „ყოფა-ცხოვრებაზე, მისი გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის ისტორიის, კულტურა-ეკონომიკის და ენის შესახებ".

ავტორი არკვევს სვანების უძველეს ისტორიას, მათის მცირე აზიიდან გამოსვლას და ამიერ-კავკასიაში დაბინადრებას, სვანეთის ძველ კულტურას, ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას I—XVIII—საუკ.

ქრისტიანობას, კერპთ.-თაყვანისცემლობის ნაშთებს, ძვ ლ ზნე-ჩვეულებებს და დეტალურად გვაცნობს სვანეთის ეთნოლოგიას.

ეს წიგნი თითქმის პირველია ქრონოლოგიურადაც ქართულ ენაზე სვანეთის შესახებ, მაგრამ ზოგი მათგანი ღარიბი იყო ისტორიული ცნობებით, ზოგი ზარელესა ყალბს და ტენდენციონურ ცნობებს შეიცავდა ამ შემთხვევაში ეგნ. გაბლიანის წიგნი განსაკუთრებულ თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ წყაროების დამუშავებას, მეტად პირუთვნელს და სინდისიერ შრომას წარმოადგენს როგორც თანამედროვე მეცნიერებას ისე ყოველ დაინტერესებულ მკითხველს თამამად შეუძლიან ამ წიგნით ისარგებლოს.

წიგნი მდიდარია ილუსტრაციით (33 სურათი), დართული აქვს მშვენიერი რუკა სვანეთის, ეგნ. გაბლიანის რედაქტორობით შედგენილი ტოპ. ეგ. არაშიძის მიერ, და შეიცავს 16 გვერდს

მადლობის ღირსია სახელგამი სვანეთის შესახებ ასეთი დასრულებული შრ. მის გამოცემისათვის, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოთ, რომ წიგნის ფასი 3 მ. 80 კ. მკითხველისათვის ხელმიუწდომია.

ლ ე ნ ჯ ე რ ე ლ ი.

### მაქს ბარტელ.

მაქს ბარტელი, პოეტი—მუშა. დაიბადა 17 ნოემბერს 1893 წ. ლოვშიცში დრეზდენ ს ახლოს. მას არ ჰქონია ბედნიერი ბავშობა და მისი ჭაბუკობის ხანა აღნიშნული იყო ზედმეტი გაჭირვებით ის ადარეჩნ თავის ახალგაზრდობას საპყრობილეს. ომმა გამოიწვია მასში პროტესტი რევოლიუციამ მისცა მას ახალი ძალა. ყველა ეს მომენტები სჩანან მის ლირიკაში.

ბარტელის შემოქმედებაში არის სამი მთავარი თემა პირველი— სოციალური მოტივები. აქ არის მთავარი ამოცან ბარტელის; ცხადყოს „მუშის სული" (სათაური ერთი მისი კრებულის). მეორე ლირიული თემა—არის თემა მარტოობის, და მესამე—ს-ყვარულ ს. საკვნებით ორიგინალური ფორმის მხრივ ბარტელის შემოქმედ ბა არ არის. ის გაიცდის ეკ პრესიონისტებ ს გავლენას, რომლებმაც ასწავლეს მას ლექსის მუსიკა და მისცეს თავისებური რიტმი.

1920 წ. ბარტელმა გამოსცა წიგნი თავის მოგზაურობის შესახებ რუსეთში და ციმბირში.

რედაქტორი მ. კახიანი.

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქ., № 4. შეკვ. № 2180. ტირაჟი 2.000. მთავლ. 1111.